645/3
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

Խաղաղություն!

МИР!







მშვიდობა!



საბჭოთა ქალი
№ 12 დეკემბერი 1959 წ.



როცა დაზგებს ტოვებს და შინ ბრუნდება მახარაძის აბრეშუმის ძაფსალეზი ფაბრიკის მოწინავე მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლამარა კალანდაძე შვილებთანაა და გაკვეთილების მომზადებაში ეხმარება.

ფოტო გ. ვახტანგაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალმის ოსტატთა თავყრილობაზე

საბჭოთა კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პრესის მუშაკები, საბჭოთა ჟურნალისტების წარმომადგენელნი—700-ზე მეტი დელეგატი და მრავალი საბჭოთა და უცხოელი სტუმარი შეიკრიბა 12 ნოემბერს ქალაქ მოსკოვში კავშირების სვეტებიან დარბაზში, ჟურნალისტთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

დილის სრული 10 საათია.

— საყვარელ კომუნისტურ პარტიას—ვაშა!

— საბჭოთა მთავრობას—ვაშა!

გაისმის შეძახილები და დელეგატები ფეხზე ამდგარი, ტაშის გრიალით ეგებებიან პრეზიდიუმში ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. გ. იგნატოვის, ა. ი. კირიჩენკოს, ფ. რ. კოზლოვის, ო. ვ. კუუსინენის, ა. ი. მიქოიანის, ნ. ა. მუხიტდინოვის, მ. ა. სუსლოვის, ე. ა. ფურცევას. ნ. ს. ხრუშჩოვის, პ. ნ. პოსპელოვის გამოჩენას.

ყრილობა გახსნა გაზეთ «ზვეზდოჩკას» პირველმა რედაქტორმა, კომუნისტური პარტიის უხუცესმა წევრმა ვ. ა. კარპინსკიმ. თავის შესავალ სიტყვაში მან ხაზი გაუსვა ყრილობის უდიდეს როლს პრესის ისტორიაში, ჟურნალისტთა კავშირის წინაშე მდგარ ამოცანებს, და წარმატებები უსურვა მას მომავალ შემოქმედებით მუშაობაში.

დელეგატები გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ა. სუსლოვის გამოსვლას, რომელმაც გამოაქვეყნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება ჟურნალისტთა ყრილობისადმი.

«ჩვენს ქვეყანაში პრესა გახდა ხალხის სულიერი ცხოვრების განუყრელი ნაწილი, ხოლო საბჭოთა ჟურნალისტიკა — პარტიული და საზოგადოებრივი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი დარგი. კომუნისტური პარტია დიდად აფასებს საბჭოთა ჟურნალისტების—გაზეთებისა და ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის, გამომცემლობისა და ინფორმაციის ორგანოების მუშაკების კეთილშობილურ შრომას, რომლებიც დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ისტორიულ საქმეში, ახალი ადამიანის აღზრდასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში» — ნათქვამია მისალმებაში.

ყრილობამ მოისმინა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს წევრის, გაზეთ «პრავდის» მთავარი რედაქტორის ამხ. პ. ა. სატიუკოვის მოხსენება ბიუროს მუშაობისა და კავშირის ამოცანებზე და საორგანიზაციო ბიუროს გენერალური მდივნის ამხ. ა. პ. ეროფეევის მოხსენება ჟურნალისტთა კავშირის წესდების შესახებ.

მოხსენებათა ირგვლივ გამართული კამათისა და მსჯელობის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია ჟურნალისტთა კავშირის ამოცანების შესახებ და დაამტკიცა წესდება.

ყრილობის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია საბერძნეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწისა და ჟურნალისტის, ფაშიზმის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლის, გაზეთ «ავგის» დირექტორის მანოლის გლეზოსის დასაცავად.

* * *

14 დეკემბერს კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ ამ ახალი შემოქმედებითი ორგანიზაციის დაარსების აღსანიშნავად გამართა დარბაზობა.

დარბაზობაზე თავი მოიყარეს ყრილობის დელეგატებმა ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებმა, მწერლებმა, კულტურის მოღვაწეებმა. აგრეთვე საზღვარგარეთიდან ყრილობაზე სტუმრად ჩამოსულმა დელეგაციებმა.

დარბაზობაზე ჟურნალისტებს ესტუმრნენ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, კ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. იგნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი და დ. ს. პოლიანსკი.

დაუვიწყარია ის უდიდესი შთაბეჭდილება, რაც მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, რომელსაც მქუხარე ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დარბაზობის მონაწილენი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა დამსწრეთ დიდი მოვლენა საბჭოთა პრესის მუშაკების ცხოვრებაში—ჟურნალისტთა კავშირის

შექმნა და შეაჩერა ყურადღება საბჭოთა პრესის მუშაკების დიდმნიშვნელოვან როლზე, მოუწოდა ჟურნალისტებს კიდევ უკეთ იშრომონ, რათა ჩვენი პრესა იყოს ყველაზე ძლიერი, ყველაზე მებრძოლი პრესა.

«ნუ ეწყინებათ მწერლებს, — თქვა მან,—თუ მე ვიტყვი, რომ თქვენ, ჟურნალისტები ხართ ჩვენი პარტიის არამარტო ერთგული თანაშემწეები, არამედ პირდაპირ ხელქვეითნი—აქტიური მებრძოლნი მისი დიადი საქმისთვის. რატომ ხელქვეითნი? იმიტომ, რომ თქვენ მართლაც განუყრელად ხართ პარტიასთან, როგორც კი დაგვჭირდება რაიმე გადაწყვეტილების განმარტება და განხორციელება. თქვენ მოგმართავთ და თქვენ, როგორც ყველაზე საიმედო ამძრავი ღვედი, აიღებთ პარტიის გადაწყვეტილებას და შეგაქვთ იგი ჩვენი ხალხის შუაგულში».

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ასეთი შეფასება, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მისალმება დიდ და სერიოზულ ამოცანას აკისრებს საბჭოთა პრესის ყველა მუშაკს.

ჟურნალისტთა პირველმა სრულიად საკავშირო ყრილობამ თავის მისალმებაში სკკპ ცენტრალურ კომიტეტს პირობა მისცა, რომ საბჭოთა ჟურნალისტები არ დაკმაყოფილდებიან მიღწეულით, მუდამ აამაღლებენ წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების, რადიოგადაცემისა და ტელეგადაცემების იდეურ-თეორიულ დონეს, რომ მუდამ მაღლა ატარებენ მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველ დროშას, პირნათლად გაამართლებენ პარტიის თანაშემწეების მაღალ წოდებას და კვლავაც დაიცავენ საბჭოთა პრესის პარტიულობისა და მასობრიობის ლენინურ ტრადიციებს.

მშობლიური პარტიისადმი მიცემული პირობა ავალებს ჩვენი ჟურნალის თვითეულ მუშაკს იბრძოლოს ჟურნალის იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული დონის კიდევ უფრო ამაღლებისათვის, რომ იგი ნამდვილად აკმაყოფილებდეს ჩვენი მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას.

# პატარა ქალი

ო. გობრონიძე

სადღაც სიღრმეში იკარგება შახტი...

წყვდიადში შუქი ციცინათელასავით ფარფატებს. ელმავალს ლიანდაგზე ვაგონეტების გრძელი რიგი მიჰყავს. სინათლეები ხან თაღს აწყდებიან, ხან სველ გზას ვიწრო ზოლებით ხაზავენ. მერე გვირაბი იქსელება მარჯვნივ და მარცხნივ...

გვირაბი აქ ხის ძელებითაა გამაგრებული. თაღს ზოგან წყალი ეპარება, წყლით იჟღინთება ხის სამაგრი და იროგვლივ დამახასიათებელ სუნს აყენებს. ქანობი კი სულ ზევით, ზევით მიდის.

აღმართში სიარული ჭირს. სახეგამურულ ბიჭებს შავი ოფლი ჩამოსდით სახეზე. შავი ოფლი ჩასდით თვალებში. თვალები ეწვით. ბიჭები ქანობს მიჰყვებიან, თან დიდრონი ძელები მიაქვთ.

— ბიჭებო, კიდევ ცოტა და გეზენკში ვიქნებით,—არღვევს ქალის ხმა შახტის სიჩუმეს...

* * *

ვაჟიშვილებმა «გააწბილეს» არჩილ ჯაფარიძე. არცერთი არ გაჰყვა მამის კვალს. გიორგიმ მხატვრობას მიჰყო ხელი, ლადომ იურიდიული დაამთავრა.

მოხუცი პედაგოგი ქალიშვილზე ამყარებდა იმედებს. თამარმა მამის თხოვნა შეასრულა და თბილისის უნივერსიტეტში შევიდა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტი ფრიადზე დაამთავრა. მაგრამ პედაგოგობის ნაცვლად ლენინგრადში აიჩემა წასვლა, სამთო ინსტიტუტში.

სწავლის დიდი მოტრფიალე არჩილი სწავლის წინააღმდეგი როგორ წავიდოდა. ქალიშვილისთვის უარი არ უთქვამს, თუმცა არჩევანი არ მოსწონდა. რა ქალის საქმეა სამთო ინჟინრობაო,—ფიქრობდა. შვილს გზა მაინც დაულოცა. რუსეთისაკენ წასული მატარებელი თვალს რომ მიეფარა. მაშინღა მიხვდა, თამარმაც რომ «უღალატა.»

* * *

ლენინგრადი. ნევის პროსპექტი. თეთრი ღამეები. ერმიტაჟი და პეტერგოფი. ტრადიციული გამოსაშვები საღამო სამთო ინსტიტუტში. «დიდ დარბაზში მუსიკა უკრავდა. ვცეკვავდით, ვტრიალებდით და ვიცინოდით. განშორებაზე არცერთი არ ვფიქრობდით. საღამო რომ დამთავრდა და ნევის პროსპექტზე გამოვედით, მაშინღა მივხვდით—ჩვენი გზები ხვალიდან აქ, ინსტიტუტში კი არ იყრიდა თავს, არამედ სხვადასხვა მხარეს გვისტუმრებდა დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად».

თამარმა შორი და გრძელი გზა აირჩია. ქართველი ქალიშვილი თავისი სურვილისამებრ შორეულ აღმოსავლეთში, კუნძულ სახალინზე წავიდა სამუშაოდ.

კუნძული ახალი განთავისუფლებული იყო იაპონელი იმპერიალისტებისაგან და იქ დიდი აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობდა. თამარ ჯაფარიძემ შახტ «ოქტიაბრსკი რუდნიკში» დაიწყო მუშაობა ჯერ რიგით ინჟინრად. შემდეგ უბნის უფროსად.

რთულ პირობებში უხდებოდათ მამაც პატრიოტებს მუშაობა. შახტს არ გააჩნდა სამთო მოწყობილობა—კომბაინები, ელმავლები, ტრანსპორტიორები, ექსკავატორები. მიუხედავად ამისა ისინი შრომობდნენ და სულ მალე სახალინი ეკონომიურად მძლავრ რაიონად გადააქციეს შორეულ აღმოსავლეთში.

შეიყვარეს პატარა ქალი სახალინელმა მეშახტეებმა იმიტომ, რომ შრომა უყვარდა. მისმა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა და მადლობა დაიმსახურა. იმხანად ყველაზე დიდი ჯილდო მაინც მამის წერილი იყო თამარისათვის: «გმადლობთ. შვილო, მე ვამაყობ შენით,»—წერდა არჩილი.

* * *

ომის გრიგალმა გადაუარა ჩვენს ქვეყანას. ფაშისტი ურდოები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ ქალაქებსა და სოფლებს. მტრის ხელს ვერც დონბასის სახელგანთქმული შახტები გადაურჩა. უკან დახევისას დაანგრიეს და ამოხერგეს ისინი. ამით მტერმა ქვანახშირის მთავარი ბაზა ჩამოაშორა ჩვენს მრეწველობას.

1943 წელს დაიწყო დონბასის შახტების აღდგენა. თამარ ჯაფარიძე მშენებლობის მთავარ ინჟინრად დაინიშნა.

— ძნელი დრო იყო,—იგონებს თამარი,—მამაკაცები ფრონტზე იბრძოდნენ. მშენებლობაზე მხოლოდ ქალები მუშაობდნენ. ისინი ჩამოდიოდნენ სოფლებიდან, ახლომახლო რაიონებიდან. არცერთს არ ჰქონდა მიწისქვეშა მუშაობის გამოცდილება, მაგრამ ისინი არ უშინდებოდნენ სიძნელეებს, მუშაობდნენ მონდომებით...

დიახ! ნიკიტოვკისა და რუმიანცევის სახელობის შახტები, რომლებიც 1946 წელს გადაეცა წარმოებას. ქალთა ბრიგადების მიერ არის აღდგენილი. ეს პირველი შახტებია. ომის შემდეგ რომ ჩადგა მწყობრში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თ. ჯაფარიძე საუბრობს მესამე უბნის მარკშეიდერთან ზ. ბუნიშევასთან ფოტო გ. სედინკინის

მთავრობამ ღირსეულად დააფასა მამაც ქალ-თა შრომა. შახტის კედელზე მათი გვარებია ამოკვეთილი, ისტორიაში შევიდა ჩვენი სახე-ლოვანი თანამემამულეც. დონბასში ნიკიტოვ-კისა და რუმიანცევის სახელობის შახტების კედელზე სხვებთან ერთად მისი გვარიც არის: თამარ არჩილის ასული ჯაფარიძე—მშენებლო-ბის მთავარი ინჟინერი, აქ მუშაობდა 1943—1946 წლებში.

აქ გაწეული მუშაობისათვის მიიღო თამარ ჯაფარიძემ მთავრობის ჯილდოები — შრომის წითელი დროშის ორდენი, მედალი დონბასის აღდგენისათვის და ფრიადოსანი მეშახტის საპატიო ნიშანი.

1946 წელს თამარ ჯაფარიძე საქართველოში ჩამოდის და მუშაობას იწყებს ტყვარჩელში სტალინის სახელობის შახტში მთავარი ინჟინ-რის მოადგილედ.

1948 წელს საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს ბრძანებით გამოც-დილი სამთო ინჟინერი გადაჰყავთ კუნძულ შპიცბერგენზე შახტ გრუმანდ-სიტის მთავარ ინჟინრად.

1951 წელს კი თამარი ვორკუტაშია და №2 შახტის მთავარ ინჟინრად მუშაობს.

ვორკუტაში რვა წელი იმუშავა და ისევ სა-ქართველოში გადმოიყვანეს. შახტს მიჩვეული ინჟინერი ვერ სძლებს ტრესტის ხელმძღვანელ თანამდებობაზე და თხოვნას წერს რომელიმე შახტში ჩააბარონ ჩამორჩენილი უბანი.

№2 შახტში მესამე უბანს ემდურებოდნენ, ვერცერთ თვეს გეგმას ვერ ასრულებდა, უბნის წარუმატებლობა შახტის მაჩვენებლებსაც უკან სწევდა.

— მუშაობის რთული პირობებიაო,—იმართ-ლებდნენ თავს მესამეუბნელები.

მალე დაეტყო თამარ ჯაფარიძის ხელი უბანს. პირველივე თვეს გეგმა შესრულდა და სულ მა-ლე ორას ორმოცდაათი ტონა ქვანახშირი მის-ცა სამშობლოს გეგმის ზევით.

— დიდი ხანია, რაც დასვენების უფლება მოვიპოვე. ჩემი პატარა შვილიშვილი ვლადი-მერი მისაყვედურებს: ბებიკო, წელს თუ არ ჩამოხვალ, დაგემდურებიო. ვაჟიშვილიც არ მასვენებს—დროა დაისვენოო —მეუბნება. რა ვქნა, შახტს ვერ ველევი. აქ არის ჩემი გული და სული. ეს ბიჭებიც ჩემს შვილებზე ნაკლებად როდი მიყვარს.

* * *

ქანობი მთავრდება. გეზენკში გაცხარებული მუშაობაა. მბურღავები ბურღავენ, გამმაგრებ-ლები გამონამუშევარს ხის ძელებით ამაგრებენ. უბნის უფროსი კი თავს დასტრიალებს მათ, ხან ერთთან არის, ხან მეორესთან.

— აბა, ბიჭებო, ახლა სახლებში! დაისვენეთ! —ეუბნება თამარი მეშახტეთა ერთ ჯგუფს, ძე-ლები რომ ამოაქვთ.

— თქვენც, თქვენც დაისვენეთ! — პასუხობენ.

— ტრანსპორტიორი გაგვიფუჭდა, საბურღი მასალა აღარ ჰქონდა მომდევნო ბრიგადას. ამათ კი თავისი ზურგით ამოიტანეს, უბანს რომ ჩა-ვარდნა არ ჰქონოდა,—ამბობს თამარი და ერთ-ერთ მათგანს სიყვარულით ურტყამს მხარზე ხელს:

— კვაცინია, ხომ არ დაიღალე!

— არა, დეიდა თამარ.

— შენ, ლეშკა?

— თუ გნებავთ, მეორე ცვლაშიც ვიმუშავებ, —სთავაზობს ქერათმიანი შეპოვალოვი.

— ქუკოვ, რად ჩამოგიშვია ცხვირი, ხომ არ გეძინება?

— არა, ვანგარიშობ რამდენი იქნება დღე-ვანდელი შესრულება,—მკვირცხლად პასუხობს სახეგათხუპნული პატარა ტანის ახალგაზრდა.

— აი, ხომ ხედავთ, რა ბიჭები მყავს. ისი-ნი კი მეუბნებიან დაისვენეო,—თამარი სანგრე-ვიდან მიმავალ ბიჭებს თვალით მიაცილებს.

სანგრევში კი იბურღება კლდე, ნაბურღიდან გამოდის მტვერი, ნაპრალიდან წყალი. გუგუ-ნებენ გამნიავებელი მილები. ზედაპირიდან ჩა-მოაქვთ ჰაერი, შახტიდან მიაქვთ მტვერი. ჩა-მონგრეული ქვანახშირი გეზენკიდან ღარებით დაბლა ეშვება. დაბლა ელმავალი და ცარიელი ვაგონეტები დგას.

ივსება ვაგონეტები—ერთი... ორი... სამი... მალე დატვირთული ვაგონეტების გრძელ რიგს ელმავალი ლიანდაგზე მიასრიალებს.

მესამეუბნელები უკვე მეორე შემადგენ-ლობას ისტუმრებენ გეგმის ზევით.

— გვერდიდან დაუჭირე ბურღი, გვერდიდან. პირდაპირს ირიბად გაყვანილი შპური სჯობია, —ყვირის პატარა ქალი, ცდილობს დაჰფაროს პერფორატორის ხმაური.

და მოულოდნელი მკლავი გვერდიდან უდგება სანგრევს.

— მაგ ადგილს გამაგრება უნდა, თორემ ჩამოწვება.—და გამმაგრებლები ხის ძელებით ამაგრებენ.

სახეგამურულ და გაოფლილ ბიჭებს ამხნე-ვებს პატარა ქალის შეძახილები.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ასე გავიდა წლები

ამბავს იწყებენ წარსულით, მასაც მომავალივით ყოველთვის ვარდისფერ ფერებში ახვევენ. შეიძლება განვლილი დღეებია და ამიტომ: ასე იყო უწინ, მაშინ... ასეთი იყვნენ ჩვენი წინაპრები,—იგონებენ და ამაყობენ. მარიამ ნუგზარის ასულ ერისთავის წინაპრების ცხოვრებას არ ჭირდება შეფერადება. იგი არც ცდილობს ამას, ოღონდ პირველად მაინც იმით იწყებს, რომ დაიბადა ქისტაურში, რაფიელ ერისთავის, ბარბარე ჯორჯაძის სამშობლოში, რომ მისი პაპა ძმა იყო მათი. მამა ნუგზარი კი რაფიელმა გაზარდა და დიდ იმედებსაც ამყარებდა თურმე მასზე. ნუგზარი, ლიტერატურის დიდი მოყვარული აგრონომიის შესწავლას მოჰკიდებია და იშვიათი მეურნეც დამდგარა. ლიბერალი მემამულე გლეხებსაც ასწავლიდა თურმე, რასაც უცხოელი აგრონომების წიგნებიდან გებულობდა.

1903 წელს თავის ათოთახიან სახლში 3 ოთახი სოფლის სკოლისათვის გამოუყვია, წერა-კითხვის გარდა გლეხის ქალიშვილები აქ ფარდაგების ქსოვას და ხელსაქმეს სწავლობდნენ. ამ პირველდაწყებით სკოლაში დაიწყო მარიამის ბიოგრაფია. 1917 წელს ამთავრებს ის თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელს და ქისტაურში მასწავლებლობს.

მაშინ ირგვლივ უჩვეულო ამბები ხდებოდა, ახალი მოდიოდა და თან მოჰქონდა მანამდე უცნობი სიო. ჩვიდმეტი წლის ერისთავის ასულისათვის ყველაფერი ბურანში იყო. მალე მშობლები დაეხოცა და აღსაზრდელად ორი პატარა ძმა დარჩა. პირველად დადგა ცხოვრების პირისპირ. სოფელში ველარ მოიცადა და თბილისში ჩამოვიდა. შალვა დადიანი ეხმარება გაჭირვებაში ჩავარდნილ მარიამს და უსინათლოთა ინტერნატში აწყობს მასწავლებლად. ეს იყო 1919 წელს.

ძმებთან ერთად ინტერნატში ცხოვრობდა თვითონაც. ინათებდა და ფეხზე იყო. პატარებს ათასი რამ სჭირდებოდათ, ყველაფრის კეთებას შეეჩვია. იმ კედლებს იქით კი ათობით უსინათლო თვალი ტკბილ სიტყვას და გამხნევებას ელოდა.

როცა თბილისში ვარსკვლავები აინთებოდა, ღამეს ყურს მიუგდებდა, ახალგაზრდა იყო და ოცნება უყვარდა.

იდგა ფანჯარასთან თვალდახუჭული და ფიქრობდა: რისი გაკეთება შეიძლება! ოცნებობდა თავისთვის, სხვებისთვისაც. ოცნებობდა, რადგან არ იცოდა საიდან დაეწყო.

1927 წელს მოსკოვში უსინათლოთა საზოგადოების საკავშირო ყრილობაზე მარიამი დელეგატად გაგზავნეს. აქ გამოთქვა თავისი ოცნება ხმამაღლა. მოუსმინეს. უსინათლოთა საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარე ვიქტოროვი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მას და სრულიად უსასყიდლოდ აძლევს რემინგტონს, ბრაილის სისტემის დაფებს, იარაღებს სახელოსნოებისათვის. მოსკოვიდან აღფრთოვანებული ჩამოვიდა მარიამი. გაჩაღდა მუშაობა. მოეწყო სახელოსნოები. შრომის ანბანს აჩვევდნენ უსინათლოთა ხელებს.

მაშინ საქართველოში უსინათლოთა საზოგადოება არ იყო. მასწავლებლების ინიციატივით ხდებოდა ყველაფერი. მარიამს კარგად იცნობდნენ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფეები: კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი, გიორგი ლეონიძე და სხვები, მის საქმიანობას ყურადღებით ეკიდებოდნენ. ყოველ კვირას უსინათლოთა სკოლას ორი ლოჟა ეთმობოდა ოპერისა და რუსთაველის თეატრებში. უსინათლონი უსმენდნენ, გრძნობდნენ, განიცდიდნენ. მათთვის დამახასიათებელი მგრძნობიარებით «ხედავდნენ» ყველაფერს. იმართებოდა კონცერტები უსინათლოთა სასარგებლოდ. ეს საღამოებიც მარიამის თხოვნით და მისივე ინიციატივით ეწყობოდა.

და აი მოვიდა ახალი სისტემით ნასწავლ უსინათლოთა პირველი გამოშვების დღე. გამოსაშვებ საღამოზე სტუმრები განაცვიფრა ნახულმა. უსინათლონი კითხულობდნენ, წერდნენ, უკრავდნენ, აკეთებდნენ სხვადასხვა ნივთებს. ეს საქართველოში უჩვეულო ამბავი იყო. იდგა მარიამი საღამოზე გაბრწყინვებული და აკანკალებული. ოცნება აუხდა! უსინათლონიც არ იქნებიან ბნელში, იცხოვრებენ, იშრომებენ.

მაგრამ ეს არ იყო ყველაფერი მარიამისათვის. 1932 წელს იგი დაუსწრებლად ამთავრებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს და დიღმის საბჭოთა მეურნეობაში აგრონომად ეწყობა. ქისტაურში ეგონა თავი, როცა ვაზებს შორის ჩაივლიდა. უბედურმა შემთხვევამ ისევ მასწავლებლობა დააწყებინა მარიამს—ხიდან ჩამოვარდა და ფეხი მოიტეხა.

იმ დღიდან, 1937 წლიდან, თბილისის 39-ე სკოლას არ მოცილებია. საყვარელ საგანს, მცენარეთა აგებულების მეცნიერებას, ბიოლოგიას ასწავლიდა აღსაზრდელებს. ორჯერ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ასე გავიდა წლები შრომასა და ერთადერთი გოგონას აღზრდაში ასე მოვიდა სიბერე. შარშან პენსიაში წავიდა ნაჯაფარი მასწავლებელი დაჯდა სახლში, მაგრამ ვერ დაისვენა. ქისტაური მოიგონა, ეწვია და უკმაყოფილო დარჩა. რაფიელ ერისთავის მუზეუმის მასალების სიღარიბემ გაახსენა, რომ კიდევ შეეძლო რაღაც გაეკეთებინა. დაიწყო მასალების შეგროვება. შეადგინა ერისთავების გენეალოგიის ალბომი, რაფიელ ერისთავის გაფანტულ ფოტოებსაც მოუყარა თავი. ახლა მოგონებების ჩაწერა დაიწყო.

...ნუ მოაგონებთ, რომ დაბერდა. იმდენია ახალი და კიდევ გასაკეთებელი... როდესაც მისი ქალიშვილი შემოირბენს და შემოიტანს ხმაურიან ცხოვრებას, გული წყდება, რომ ადრე დაიბადა...

**ციხანა მიქელაძე**

# ვანელი ქალები

ციხე-სულორი, ერთი ჩვეულებრივი სოფელი ვანის რაიონისა, მდიდარია შრომისმოყვარე, გამრჯე ადამიანებით, ისეთებით, დღენიადაგ რომ იღწვიან კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდისა და ყურძნის, ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლად, პირუტყვის გასამრავლებლად, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად.

* * *

მარიამ ჩახუნაშვილი ერთი იმათგანია, ვინც იკისრა ერთიორად შეესრულებინა სიმინდის, ყურძნის, ხახვისა და აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმა და თავიც არ შეირცხვინა. პირობა პატიოსნად შეასრულა.

ყველაფერს ასწრებს ეს გამხდარი, მაგრამ გამრჯე ქალი. მოწინავე კოლმეურნე, შესანიშნავი დიასახლისია — სანიმუშოდ უვლის ოჯახს, ზრდის მასავით პატიოსან და შრომისმოყვარე შვილებს, დედის კვალობაზე კოლმეურნეობის კეთილდღეობით რომ არიან დაინტერესებული.

* * *

დღის ყოველ დროს ნახავთ ანიჩქა ფანცულაიას ვენახში.

— მან ხუთი თითივით იცის თვითეულ ძირს რამდენი მტევანი ყურძენი ასხიაო, — ხუმრობენ კოლმეურნეები.

შვილივით შეჰხარის და უვლის კოლმეურნე ქალი ვაზის ყოველ ძირს: თავის დროზე ბარავს, თოხნის, სხლავს და წამლავს. შარშან თავისი ნაკვეთიდან 1.720 კგ ნაცვლად 3.000 კგ ყურძენი ჩააბარა. თითქმის ერთიორად შეასრულა წლევანდელი გეგმაც.

მოწინავე კოლმეურნე ხალხის გულისხმიერი მსახურია. წელს მეოთხედ აირჩიეს თანასოფლელებმა რაიონული საბჭოს დეპუტატად, და რაც მთავარია, ამომრჩევლები კმაყოფილი ჰყავს.

* * *

ქმარი რომ ფრონტზე გააცილა, შინ მობრუნებულ თამარ გიორგაძეს კარებში წლინახევრის ბუთხუზა ბიჭიკო შეეგება. თამარმა შვილი გულში ჩაიკრა. «უმამობას არ ვაგრძნობინებ, კოლმეურნეობაშიც მეტი ენერგიით ვიმუშავებ, ბრძოლაში წასულებს რომ დავეხმაროო», —გადაწყვიტა მან.

და მალე რაიონს გასცდა თამარ გიორგაძის სახელი. სახელოვანი კოლმეურნე, გულისხმიერი ამხანაგი, მოსიყვარულე დედა მისაბაძია ყველასათვის. მისი პატიოსანი შრომის ჯილდოა პრემიები, რომლებსაც გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის იღებს; თამარის კარგი ქალობის, ავტორიტეტის, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების გამომხატველია თანასოფლელების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად მისი არჩევა.

* * *

გასულ წელს სიმინდის უხვი მოსავლის მიღებისათვის ფაცია მახარაძეს პრემიის სახით 900 კილოგრამი მარცვალი ერგო. ალბათ, არა ნაკლებს მიიღებს წელსაც. მაგრამ განა მარტო სიმინდის მაღალი მოსავლით არის იგი განთქმული? შესანიშნავი მეაბრეშუმეცაა. პარკის ჩაბარების გეგმა ერთიორად და მეტად შეასრულა. ფაცია მახარაძე ღირსეული წევრია შვიდწლედის ენთუზიასტთა მრავალრიცხოვანი არმიისა.

* * *

ვანის რაიონის ხახვი განთქმულია მთელ რესპუბლიკაში. ოლია ასათიანმაც ამ კულტურის მაღალი მოსავლის მოყვანით გაითქვა სახელი. შარშან მან თავისი ნაკვეთიდან გეგმის გადამეტებით ერთი ტონა ხახვი ჩააბარა და პრემიათ 800 კილოგრამი მიიღო. გეგმასთან შედარებით ერთიორად მეტი მოსავალი აიღო წელსაც. ნაკლები წარმატება არც სიმინდის მოსავლიანობის ზრდაში აქვს. ოლიას მხარში უდგას ორი ქალიშვილი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ კოლმეურნეობაში რომ მოვიდნენ, და პატიოსანი შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ შვიდწლიანი გეგმის განხორციელებაში.

* * *

აბრეშუმის პარკის მაღალი მოსავლის ოსტატი—ასეა ცნობილი კოლმეურნეობაში ქსენია ასათიანი. მან წელს 300 პროცენტით შეასრულა პარკის ჩაბარების გეგმა. ქსენია ბეჯითად შრომობს მარცვლეული და ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობის გასადიდებლადაც, ამრავლებს კოლმეურნეობის ხვავსა და ბარაქას, დოვლათით ავსებს ოჯახს.



ზემოდან—ქვევით: მ. ჩახუნაშვილი, ა. ფანცულაია, თ. გიორგაძე, ფ. მახარაძე, ო. ასათიანი, ქ. ასათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბარბარე ჭინჭარაული

# ხევსურები სამგორში

მაყვალა ოქროპირიძე

— სადაც დავბადებულვარ და მიცხოვრია, იქ უნდა ვიცხოვრო, სადაც დედ-მამისა და ქმრის ძვლები ჩამიყრია, იმ მიწაზე უნდა მოვკვდე,—თავს იქნევდა ქალა.

— რას ამბობ, ქალავ! რა დროს სიკვდილზე ლაპარაკია,—არ ეშვებოდა ბარბარე ჭინჭარაული.—წავიდეთ ახალ მიწაზე, ნუ ვაწყენინებთ შვილებს... მარიამ გოგოჭური და თამარ აფციაური უკვე წასულან ქმარ-შვილით სამგორში. რა იქნება, ჩვენც ვნახოთ ახალი ცხოვრება!

ეს იყო 1954 წლის ზამთარში. ბარიდან შატილის თოვლიან მთებში მეკვლემ ამოაღწია და ხევსურებს ახალი ამბავი ახარა: პარტიამ გვირჩია სამგორში გადასახლდითო, ვენახი და ხეხილი დარგეთ, პური დათესეთ, ცხვარი და ძროხა მოაშენეთ, ქათმები გაამრავლეთო.

ახალგაზრდებმა მოიწონეს ეს ამბავი, ბარისაკენ გაუწიათ გულმა...

— ძნელია ამ ლამაზ, თოვლიან, მაგრამ მოუსავლიან მთებში ცხოვრება,—ამბობდნენ ისინი.

მხოლოდ მოხუცები ჯიუტობდნენ. ენანებოდათ შეჩვეული კედელ-ყურის მიტოვება. ყველაზე მეტად მაინც სამოცი წლის ქალა სისაური უარობდა.

ღიმილით იგონებს ახლა ამ ამბავს ხევსური ქალი. ბოლოს მაინც აიყოლიეს თანასოფლელებმა და ქალა თავის ვაჟთან—სიმონთან ერთად ადრიან გაზაფხულზე სამგორში გადასახლდა...

ახლა იგი მეფრინველეობის ფერმაში მუშაობს. შარშან 600 შრომადღე გამოიმუშავა, მთელი ოჯახის სამყოფი ფული, მარცვლეული და ხილი მიიტანა შინ. რად ჩამორჩეს ახალ ცხოვრებას? პირველი გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას—დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივო. სამგორის რაიონში მან აიღო პირველმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი, მუყაითი მშრომელია ქალა. სულ ფერმაში ტრიალებს... განა ადვილია თვითეულ კვერცხმდებელ დედალზე 130 ცალი კვერცხი მიიღო, გამოზარდო და შეინარჩუნო წიწილების 80 პროცენტი! მაგრამ თავს არ იზოგავს ხევსური ქალი. თავისი მუშაობის შესახებ რომ ვკითხეთ, ქალამ თავსაფარი გაისწორა და გვითხრა:

— აბა, რაი ვქნა, შვილო, დღე და ღამე ფერმაში ვარ, შინ გული აღარ მიდგება... განა ცოდონი არ არიან პაწია წიწილები, უყურადღებოდ დავტოვო?! თავის დროზე ვაძლევ საკვებს, დედლებიც მსუქნადა მყავს... შარშან გეგმა 300 პროცენტით შევასრულე, წელს უკეთესად ვმუშაობ,—და თეთრად გადაპენტილ ქათმებს გადახედა.

ის იყო ფერმიდან გამოვედით, რომ თვალი მოვკარით წელში ოდნავ მოხრილ ქალს, რომელსაც მხრებზე მწვანე ბალახის კონა მოედო და ნელა მოაბიჯებდა. ეს ქალი ბარბარე ჭინჭარაული აღმოჩნდა. იგი მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს მწველავად. არც ის ჩამორჩა შრომაში ქალას და სამგორში საუკეთესო მწველავის სახელი გაითქვა. ბარბარე უფრო სიტყვაძუნწი გამოდგა:

— მუშაობას არავინ მთხოვს, მაგრამ, აბა, რაი გამაჩერებს სახლში უქმად. ვეხმარები ჩვენს მწველავებს,— გვითხრა და მეცხოველეობის ფერმისაკენ გზა განაგრძო.

ბარბარემ გასულ წელს თვითეულ ძროხაზე 1500 ლიტრი რძე მიიღო. წელს კიდევ მეტი მონდომებით შრომობს: ვალდებულება აიღო შვიდწლედის პირველ წელს თვითეულ ძროხაზე 2000 ლიტრი რძე მიიღოს, მთლიანად შეინარჩუნოს და გაზარდოს მიღებული ნამატი.

დღეს ბედნიერად ცხოვრობენ სამგორის მიწაზე ხევსური ქალები ქალა სისაური და ბარბარე ჭინჭარაული. მათი ხვალინდელი დღე კი უფრო უკეთესი იქნება, უფრო ლამაზი.



ქალა სისაური

ფოტო დ. იაკობაშვილის

რევაზ ინანიშვილი



# მისი ხელების სითბო

ნოველა

სადგური თოვლით დაფარულ მინდორში იდგა. ქვენაქარი უბერავდა და ხორხოშელასავით მსხვილ წკარუნა ნამქერს აყრიდა. რძისფერი ნისლი მიწაზე გართხმულიყო, ქსელზე გაკიდებულ ობობასავით მისავსავებდა, ფოთლებშემოძარცვულ ძეძვის კენწეროებს ედებოდა, იძენძებოდა, იცრიცებოდა.

მატარებელი გამოსული იყო, მგზავრები ბაქანზე გამოფენილიყვნენ. ბაქანი გადაეხვეტათ, თოვლი შემოქერქილ აკაციების ძირში მიეგროვებინათ. ქარი აქ უფრო მძლავრობდა—ძირს დაცემულ მრგვალ-მრგვალ ფიფქებს მიწაზე მიაგორებდა, ჩრდილოეთისაკენ მიეზიდებოდა.

ნატო ღელავდა, კალათი და ჩემოდანი ხელში ეჭირა. კალათიც მძიმე იყო, ჩემოდანიც. თითები უბუჟდებოდა, სიცივისაგან ეწვოდა. ცოტა ხანს ძირს დადგამდა. წვერებგაწყალებულ ბაწრის თათმანებს გაიხდიდა. სისხლგამშრალ თითებს დაიორთქლავდა, დაისრესდა. ისევ აიღებდა—კალათას მარჯვენა ხელით, ჩემოდანს მარცხენათი. მატარებელში ასვლისას ყოველთვის ასე უცნაურად ღელავდა. რა საჭირო იყო ჯერ ბარგის ხელში ჭერა?! მაგრამ მაინც ეჭირა—თითქოს სიმძიმეს რომ გრძნობდა, ეს რაღაცას შველოდა.

მგზავრები ცოტანი იყვნენ—ხუთნი, თუ ექვსნი. ქარს ერიდებოდნენ, იბუზებოდნენ, აწეულ საყელოს ზემოდან თუ გახედავდნენ მატარებლის გზას. მხოლოდ ერთი ფარაჯიანი წითელწითელი კაცი იდგა გატოქილი, ეტყობოდა ბლომად გადაეკრა, ადგილზე ბარბაცებდა, ხელით ღრმა რკალს ხაზავდა და ჩახლეწილი ხმით ჩხაოდა:

— სუ, გენაცვალეთ! სუ, თავს შემოგევლეთ!

მატარებელი გამოჩნდა, ნისლიდან გამოვიდა. მოდიოდა და უკან ტყვიისფერ კვამლის გრაგნილს მოიყოლებდა. ქოთქოთით გაირბინა ბაქანი, წითელქუდიანმა მორიგემ ორთქლმავლიდან გადმოკიდებულ გამურულ მემანქანეს კვერთხი შეუცვალა.

ნატო პირველ ლიანდაგზე გადავიდა. კალათი და ჩემოდანი ერთხელ კიდევ დადგა ძირს, ხელები წამით შეასვენა, და როცა მატარებელი შიშინითა და რკინების ჯახაჯუხით გაჩერდა, უახლოეს ვაგონისკენ გაიქცა.

კიბეზე წვერულვაშგაპარსული ჭაღარა მამაკაცი იდგა. ჩამოხტა, ნატოს ჩემოდანი და კალათი ჩამოართვა. კიბეზე ასვლა უშველა და თვითონაც აჰყვა.

ნატოს მღელვარებამ გაუარა.

— დიდი მადლობა, ბატონო, დიდი მადლობა!—იძახდა როგორღაც დარცხვენილი, აწითლებული. თავშალიდან თოვლს იცილებდა და ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა. მამაკაციც თოვლს იბერტყავდა, ფეხებს აბრახუნებდა, ქარისაგან აწეწილ ჭაღარა თმის ჭავლებს უკან იწევდა.

— შიგნით მიბრძანდით, თორემ აქ საშინლად უბერავს.—თქვა მან და დიდი, თეთრი დაძარღვული ხელი ვაგონის სიღრმისაკენ გაიქნია.

— თქვენ ნუღარ შეწუხდებით, მე თვითონ... —მიუბრუნდა ნატო.

— რა შეწუხებაა!—გაეღიმა მამაკაცს.—მიბრძანდით! მიბრძანდით!

ნატო ნაბიჯარეული მიჰყვებოდა ჩაბნელებულ დერეფანს, ის კაცი კი უკან მისდევდა, ხანდახან კალათას რაღაცას წამოსდებდა—წნელები გატკაცუნდებოდა, თითქო ამტვრევენო.

ვაგონში თბილოდა, მყუდროება იყო, ფანჯრებს ოფლი მოჰკიდებოდა, ალაგ გაეწმინდათ, ალაგ რაღაცა წაეჩხაპნათ, ალაგ დამძიმებულ წვეთებს ჩამოეხაზათ. თითქმის ყველა მაგიდაზე ბოთლები და სანოვაგე ეწყო. მოწყენილი მგზავრები ნელ-ნელა შეექცეოდნენ და მასლაათობდნენ.

— აქ, ჩვენთან შეგიძლიათ მოთავსდეთ,—თქვა მამაკაცმა, როცა მესამე კუპეს მიაღწიეს.

ნატო მობრუნდა, მადლობა გადაუხადა და კუპეს თვალი მოავლო. მაგიდასთან მკაცრი, სახედაკუთხული მოხუცი ქალი იჯდა. კედელზე ტყავის ყვითელი საკვოიაჟი და ძვირფასი პალტოები ეკიდა.

ნატომ ქალს თავი დაუქნია, მორიდებით ჩამოჯდა სკამის ბოლოზე, თავშალი უკან გადაიწია, ყურებამდე ჩამოწეული შინნაქსოვი შავი ბერეტი გაისწორა.

მოხუცმა ქალმა პაპიროსს მოუკიდა, ჩამქრალი ასანთის ღერი ისევ კოლოფში ჩააბრუნა და მამაკაცს რუსულად კითხა:

— შენ რა, კოტიკ, ასე თავშიშველი ჩახვედი ძირს?

მამაკაცმა ნატოს კალათი მაღლა შედგა, პიჯაკზე ხელი ჩაიკრა და ცხვირსახოცი ამოიღო.

— ოცი წლისა კი აღარა ხარ!—განაგრძობდა მოხუცი ქალი და პაპიროსს საჩვენებელი თითით ფერფლს აცლიდა.—გაცივდები და მერე შენს მეუღლეს ვეღარ გადავურჩები!

მამაკაცს გაეცინა, დაჯდა, მსხვილ მუხლებს ორივე ხელით დაეყრდნო, ერთ ხანს ასე იყო, იღიმებოდა, მერე რაღაც მეოცნების გამომეტყველებით ამოიხედა და მოხუცს ქართულად მიუგო:

— იცი, მამიდა, როცა ამ სადგურს ვუახლოვდები, ხოლმე, მე მართლაც ოცი წლისა ვხდები.

— ოჰო?!

— განა თქვენთვის არასოდეს არ მითქვამს?

მოხუცმა ქალმა პაპიროსი საფერფლეში ჩაჭყლიტა, ოქროს კბილები გამოანათა.

— ნამდვილად ვიღაც ლამაზი შეგხვდა და...

— მთლად ასე არ არის!

და სიცილით, უფრო თითქო თავის თავის დაცინვით, ისე, რომ მოხუც ქალსაც გაეგონა და ნატოსაც, მოყვა:

ოცდახუთი წლის წინათ, როცა ის მეხუთე კურსის სტუდენტი იყო, ზამთრის არდადაგებზე ერთმა ამხანაგმა კონდოლში წაიყვანა. ოთხნი იყვნენ: ის, გოგი სიდამონიძე—მასთან ერთად რომ მუშაობდა ჩელიაბინსკში, საშა ჯიბუტი და ის ბიჭი, ჯავახიშვილი—ომში დაიღუპა საწყალი. სამ დღეს იქეიფეს, ერთი დღე სანადიროდ იყვნენ, თოვლში იგორავეს, დასველდნენ, გაიყინენ, მოკვლით ვერაფერი ვერ მოკლეს, მეორე დღეს კიდევ იქეიფეს, მერე საშა ცუდად გაუხდათ და წამოვიდნენ. აი ასე მოდიოდნენ—სუფრა ჰქონდათ გაშლილი, სვამდნენ—ასე გემრიელად ხომ არსად არ ისმება ღვინო, როგორც მატარებელში! გარეთაც ასეთი ამინდი იყო, უფრო ძლიერად ქროდა, თოვლის კორიანტელს აყენებდა და ვაგონის ვენტილატორებს გუგუნი გაჰქონდათ. ამ სადგურს რომ უახლოვდებოდნენ, ის, კოტე გარეთ გავიდა ღვინით გახურებული შუბლის გასაგრილებლად. მატარებელი გაჩერდა და კიბესთან ერთმა გოგონამ მოირბინა. დიდი ჩემოდანი ჰქონდა, ეწეოდა და ვეღარ აეწია. კოტე ჩახტა, ჩემოდანი ჩამოართვა, ამოსვლა უშველა და თავიანთ კუპეში მიიპატიჟა. გოგონა მთლად გაყინული იყო, ხელები ისე დაბუხოდა—პალტოს ვეღარ იხსნიდა. მაშინ მან, კოტემ გაუხსნა. მერე მისი ორივე ხელი პეპელასავით დაიჭირა და ასე გაუთბო. ნატა ერქვა...

ნატო გაკვირვებული შეჰყურებდა კოტე რომ



უკანასკნელ სიტყვებს ამბობდა, თითქო ვაგონის წინა მხარემ ზევ-ზევით აწევა დაიწყო. ნატომ ფეხები ერთმანეთს გადააჭდო და თვალები დახუჭა.

კოტე განაგრძობდა:

არაჩვეულებრივად კარგი, ლამაზი, სახემცინარი გოგონა იყო. თმა ჰქონდა —თითქო ის თმაც კი—უცინოდა. რადგან კოტემ «აღმოაჩინა», შინ გაცილებაც მას დაუთმეს, თბილისში ქარი აღარ ქროდა. მიდიოდნენ თოვლის ფანტელებით აღსავსე ღამეში და იცინოდნენ. ყაზბეგის ქუჩისაკენ რომ აუხვიეს, ვიღაც ახმახი წამოეწიათ, «აა, ნატაშკაო» და ხელი მოხვია, აკოცა. ბიძამისი აღმოჩნდა. კოტეს ჩემოდანი ჩამოართვა და... დამშვიდობება ძლივს მოასწრეს, თითქმის ხელიდან გააცალა ნატა—რაღაც საოცრად დიდმა, ხმაურიანმა. ის დღე იყო და ის დღე... ერთ ხანს ყაზბეგის ქუჩის დასაწყისთან უდარაჯებდა, ეძებდა. მერე ჩელიაბინსკშიც გაგზავნეს და მეტად აღარ უნახავს. დიდი თავგადასავლების მქონე ადამიანებისათვის ეს ამბავი ალბათ ზღვაში წვეთია. მათ ეს, რასაც ახლა ყვება, სიცილადაც არ ეყოფათ. მისთვის კი, კოტესთვის... ეშმაკმა დასწყევლოს, ალბათ ისევ არის მის ძარღვებში ბავშვური რამ და იმიტომ თუ... იმ დღის შემდეგ ოცდახუთზე მეტმა წელიწადმა გაიარა. ცოლიც ყავს, შვილებიც, მაგრამ რამდენჯერაც აქეთ მოუხდება გამოვლა, ყოველთვის ის გოგონა ახსენდება. ხანდახან ქუჩაშიც კი ეძებს. ამ დროს ეჩვენება, რომ ოდესღაც ის, კოტე ლამაზი, კარგი, საყვარელი ადამიანი იყო.

ნატოს თვალები დახუჭული ჰქონდა. მაინც ხედავდა, როგორ იქნევდა კოტე თავს, როგორ ირტყამდა მუხლზე ხელს და როგორ იცინოდა დაბალი, ქირქილა ხმით, მერე—რომ წამოდგა.

ნატოს თვალები დახუჭული ჰქონდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოდიოდნენ ფიქრები: დანჯღრეული ეტლი, თხელი, წინა წელს გადაბრუნებული პალტო, საზაფხულო ფეხსაცმელები, ცივი ქარი, ცივ სადგურში ლოდინი, ვაგონის ყინულგადაკრული კიბე, სტუდენტური საგზლით სავსე შავი ჩემოდანი და დიდი, თბილი ხელები, წლობით ნანატრი დაძარღვული დიდი, თბილი ხელები... იჯდა ეს პატარა, გამხდარი, გაჭაღარავებული ქალი და ცდილობდა გზა არ მიეცა საფეთქლებთან მოწოლილ ცრემლებისათვის, ცდილობდა არც ესუნთქა.

რა უცნაური ამბავი დატრიალდა მის თავს?

უცებ ხელის შეხება იგრძნო. თვალები გაახილა, წინ წამოიწია, კოტე ფეხზე იდგა, ფანჯარაში იყურებოდა, მოხუცი ქალი გადმოხრილიყო და ეკითხებოდა:

— ცუდად ხომ არა ხართ, გენაცვალე?

ნატო თითქო ახალი ჩაძინებული ყოფილიყოს და ხელი ეკრათ, კანკალმა აიტანა. რა უცნაური ამბავი დატრიალდა მის თავს?! ძლივს შეძლო ღიმილის ფერი მიეცა ფერმკრთალი ტუჩებისათვის—რაღაც სიცივემ ამიტანაო.

მოხუცმა ქალმა ჭიქა გაავსო და მიაწოდა.

— ტკბილი ღვინოა. ცოტა დალიეთ, გახურდებით.

ნატომ იუარა, იმ ქალმა დააძალა.

მაშინ ნატომ ისევ გაიღიმა და ჩამოართვა. ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრამ თითქო ეს ფიქრი უფრო აკანკალებდა.

— გაგიმარჯოთ!..—მეტი ვერაფერი მოახერხა. ცოტა მოსვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

ვაგონში უსინათლო მომღერალი შემოვიდა. ნატოს ცოტა გულს მოეშვა—იქნებ ჩვენთან დაჯდესო. მაგრამ მომღერალმა გზა განაგრძო, სადღაც შუა ვაგონში დაჯდა, გარმონი გაწელა და დანჯღრეული ხმით რაღაც სევდიანი სიმღერა წამოიწყო.

კოტე თეთრ ქაღალდზე დაწყობილ ქათმის ხორცს და შოთის ნაჭრებს სთავაზობდა. ნატომ, სულ პაწაწინა ნაჭერი რომელიც იყო, ის აიღო, მადლობა გადაუხადა.

მატარებელი სადღაც ლოჭინის ხევთან უხვევდა. ბინდდებოდა. აქაც თოვლი იდო. აქაც ნისლში იყო გახვეული ძეძვწამოჯაგრული მრგვალი ბორცვები.

თითქო ნატო კი არა, სხვა ვიღაც ატოკებდა ხელებს, სხვა ვიღაც ცდილობდა ლუკმის გადაყლაპვას, სხვა ვიღაც ახამხამებდა თვალებს.

— ბავშვი რამდენი გყავთ?—ეკითხებოდა მოხუცი ქალი.

— ორი,—მექანიკურად მიუგებდა იგი.

— დიდები?

— დიაღ, ორივე უმაღლესში სწავლობს.

— მეუღლე სად...

— მეუღლე აღარ მყავს, ომში დამეღუპა.

— ახ, საწყალი ქალი! მთლად ახალგაზრდა იქნებოდით მაშინ!

— ოცდაოთხი წლის.

— ახ, საბრალო ქალი! მუშაობთ?

— კოლმეურნეობაში.

— აა.

მოხუცმა ქალმა პაპიროსს მოუკიდა.

ბინდდებოდა. სიბნელესთან ერთად ნატოს გული უმშვიდდებოდა. შეეძლო ნორმალურად ეფიქრა. ფიქრობდა კი იმას—საჭირო იყო თუ არა, ეთქვა კოტესთვის, რომ ნატო ის იყო, ის ლამაზი გოგონა. რომელსაც თმებიც კი უცინოდა, აი, ეს სახე დაღარული. დაპატარავებული, საბრალო შესახედაობის ქალი იყო. რომ ამ ქალს დიდხანს, დიდხანს ახსოვდა და ენატრებოდა მისი ხელების სითბო? რომ... ანდა რა მოხდებოდა თვითონ კოტეს რომ ეცნო? ეჩვენებოდა, რომ ორივე შემთხვევაში რაღაც აფეთქდებოდა—დაიმსხვრეოდა მატარებელი, დაიმსხვრეოდა მიწა... მისთვის, ნატოსთვის, როგორღაც სასიამოვნოც კი იქნებოდა, მაგრამ. მატარებლის თვლების ხმაურში ელისო და ზურაბი შემოდიოდნენ და ფხიზლდებოდა, დამძიმებულ წარბებზე ხელს ისვამდა, თავს მაღლა სწევდა.

ნუთუ ოდესმე სხვასაც დამართია ასეთი რამ?

მატარებელი გაგრძელებულად კიოდა, თბილისს უახლოვდებოდა. მგზავრები ჩასასვლელად ემზადებოდნენ.

კოტემ მოხუც ქალს პალტოს ჩაცმა უშველა. თვითონაც ჩაიცვა. ეხლა იგი უფრო დიდი ჩანდა, დიდი. ძლიერი, დაძარღვული თბილი ხელით იწევდა შუბლზე ფეტრის ქუდს და უხმოდ ღიღინებდა.

თბილისში თბილოდა, ელნათურების შუქზე ფაფუკი თოვლი ჩამოდიოდა, ავტომობილებისათვის უკანა ბორბლებზე ჯაჭვები გაეკეთებინათ და ყველგან იმათი ჩხარუნი ისმოდა.

ვაგონში მებარგულენი შემოვიდნენ. კოტემ ნატოს ჩემოდანი და კალათი წააღებინა, თვითონ მიაცილა ტაქსების გაჩერებამდე. თვითონ ჩასვა მანქანაში. დაემშვიდობა. დაემშვიდობა მოხუცი ქალიც, სიბრალულის გამომეტყველებით.

— შინ აუცილებლად ასპირინი დალიეთ. ოფლი მოიდინეთ,—არიგებდა მანქანაში მჯდარს.

მანქანამ რკალის მოხაზვა იწყო.

კოტე ისევ მოედანზე იდგა, პალტოს საყელოს ისწორებდა, თითქო მის გზას მიშტერებოდა.

მანქანა გასწორდა, ფანჯარაში ეხლა უკვე სხვა ადამიანები, სხვა ლანდები შემორბოდნენ.

ნატომ საფეთქელი ცივ მინას მიადო.

«ასპირინი დალიოს»...

მამაკაცი რომ ყოფილიყო, მძღოლს ეტყოდა, რომ წასულიყო შორს, შორს, ქალაქის იქით. გახსნიდა ფანჯარას, მიუშვერდა სახეს მსუსხავ ქარს და ივლიდა ასე დიდხანს, დიდხანს, მანამდე, სანამ მთლიანად არ ამოიდარდებდა დღევანდელ უჩვეულო დარდს, დარდს თუ სიხარულს. ეჩვენებოდა, რომ ამ საოცარი დარდის თუ სიხარულის, ამ ტკბილ-მწარე ფიქრების შინ მიტანის უფლება არ ჰქონდა, შინ შვილები უცდიდნენ. ისინი გადაეხვეოდნენ და მაშინვე ამას კითხავდნენ:

— როგორა გვყავხარ, დედა?

— კარგად, გენაცვალეთ,—მიუგებდა ის. და იგი მართლა კარგად უნდა ყოფილიყო, რადგან შვილებს მისი კარგად ყოფნა სჭირდებოდათ.

ის კი კარგად არ იყო. თითქო ნაწილ-ნაწილად დაეშალათ. ვერაფერს ველარ უყრიდა. თავს—ვერც გრძნობებს, ვერც ფიქრებს.

ერთი სურვილი ჰქონდა მხოლოდ—გაგრძელებულიყო გზა, გაგრძელებულიყო დიდხანს, დიდხანს, სანამ...

მანქანა უკვე სვლას უნელებდა.

მაშინ თავის სიცოცხლეში პირველად ინატრა, რომ შვილები შინ არ დახვედროდნენ. ინატრა და იმ წამსვე საშინელი ზიზღი იგრძნო თავის თავის მიმართ.

—ფუჰ, ავცუნცრუკდი თექვსმეტი წლის გოგოსავით!..

კიბეზე ზურაბი და ვიღაც ქალიშვილი ჩამორბოდნენ, მხიარულად იცინოდნენ და მაღლა აწეული ხელებით თოვლის ფანტელების დაჭერას ცდილობდნენ.

# ამ საამქროებიდან მიდის

თბილისის შოკოლადის კომბინატის დირექტორის ვიქტორია ეპრალიძის ოთახში განუწყვეტლივ შედიან და გამოდიან ადამიანები. სათნო სახის ქალი მაგიდასთან ზის. შენიშვნებს აკეთებს, აძლევს თვითეულს დავალებას. ლაპარაკობს მოკლედ და მშვიდად. მერე მეც მისმენს და პირველად კომბინატის დათვალიერებას მთავაზობს.

— ლეილა გოგიშვილს გამოუძახეთ,—ეუბნება მდივანს. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში მოკრძალებით შემოდის თეთრხალათიანი ახალგაზრდა ქალი.

— ჩვენი ინჟინერ-ტექნოლოგი...—მაცნობს დირექტორი და მასთან ერთად მიშვებს საამქროებში.

სანამ იმ შენობამდე მივიდოდეთ, სადაც საამქროებია, დიდი ეზო უნდა გავიაროთ... და ეზოში ვახერხებ გამოველაპარაკო ახლადგაცნობილს.

1951 წელს დაამთავრა კიროვის სახელობის თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური . ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტი და როდესაც პირველად მივიდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქიმიურ ლაბორატორიაში, გულახდილად იტყვის. შეეშინდა... მაგრამ დღეები დღეებს მისდევდნენ. შეეჩვია და მერე სხვებსაც ეხმარებოდა ლითონის ქიმიური ანალიზების გაკეთებაში...

1959 წლის პირველი იანვრიდან მწყობრში ჩადგა თბილისის შოკოლადის კომბინატი და იმ დღიდან მუშაობს ლეილა კომბინატის საწარმოო განყოფილებაში. მალე დაიმსახურა რვაასკაციანი კოლექტივის პატივისცემა მორიდებულმა, საქმისადმი გულისყურით განწყობილმა ქალმა. ამიტომაა ყველგან გულღიად ხვდებიან ლეილას, ყურადღებით ისმენენ მის შენიშვნებს. ახალი წარმოებაა, ახალი ადამიანები. ახალი საქმე და არც იმის რცხვენია—ხანდახან განმარტებისათვის მიმართოს უფროს ამხანაგებს, ისწავლოს მათგან...

...ბისკვიტის საამქროში შევდივართ. ჰაერში ვანილის არომატული სუნი ტრიალებს. თეთრხალათიანი ქალები თავს დასტრიალებენ ცომის საზელ ქვაბებს, გრძელ კონვეიერებს. მზადდება სხვადასხვა სახის ნამცხვარი: «ჩაისათვის», «ჭადრაკული», «გაფურჩქვნა»...

ნიურა ფადეევასთან საამქროს უფროსი, ლიდა მახარაშვილი დგას, მუშაობას თვალყურს ადევნებს. მერე მიდის ახალ დანადგართან, რომელიც ნამცხვრის ახალ სახეობას—ვაფლს აცხობს. ახლა ეს საამქრო ამზადებს ვაფლის ახალ ტორტს—«სიურპრიზს», რომელმაც უკვე დაიმსახურა მომხმარებელთა დიდი მოწონება.

ლიდა სიამაყით გვეუბნება, რომ საშვიდნოემბროდ საამქრო გადაყვანილ იქნა ბუნებრივ აირზე, რამაც გააადვილა მუშაობის პროცესი, შეამცირა ხარჯები, გაზარდა წარმადობა და წარმოება უფრო რენტაბელური გახდა.



კარამელის საამქროს ცვლის უფროსი მარიამ სვანიძე (მარჯვნივ) ახალგაზრდა მუშას ნანული ჭიაურელს უხსნის საწარმოო პროცესებს.

ფოტო დ. იაკობაშვილის



ლია გუგუშვილი—შოკოლადის საამქროს შემხვევი განყოფილების მუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...შოკოლადის საამქროში ერთბაშად გიპყრობთ ლამაზი მანქანების დახშული გუგუნი. ქვევით, უშველებელ ქვაბში იხალება კაკაო, გადადის დამქუცმაცებელ მანქანაში, იფქვება და ელევატორის საშუალებით ამოდის აქ. და მერე აქედან იწყება შოკოლადის მასის დამზადების პროცესი...

მთელ სიგრძეზე გაჭიმულია კონვეიერი...ფორმებში ისხმება ყავისფერი შოკოლადის სქელი მასა და რიგრიგობით, ნელა მიიწევს წინ, გადის რამდენიმე ქიმიურ პროცესს, გადადის მაცივარში და შემდეგ ხდება ფორმების დაცლა. მაცივრიდან უჩვეულოდ ცივი შოკოლადის ფილები გამოაქვს ნადია ვარაპაევას, ამ თავმდაბალ, პირმცინარე ქალიშვილს. მერე ლამარა ვაშაძე ფრთხილად აწყობს მათ კოლოფებში...

ამ ქალიშვილების ხელში გაივლის შოკოლადის ფილები—«სპორტი», «ცირკი», «კრილოვის იგავ-არაკები»...

საამქრო მთლიანად მექანიზებულია და ამიტომ გაოცებთ ის, რომ უზარმაზარ ოთახში, მოგუგუნე მანქანებთან სულ რამდენიმე ქალი ტრიალებს.

სამაგიეროდ საცალო საამქროში არიან ბევრნი. დიდხანს ვუყურებ ქალიშვილების ხელების სხარტ და ლამაზ მოძრაობას. მათ წინ კოხტა, სადღესასწაულოდ გაფორმებული ყუთები დევს. ფრთხილად აწყობენ ისინი შიგ შოკოლადს, მერე ცისფერი ბაფთით კრავენ.

მუშაობას არ წყვეტენ, ისე მესაუბრებიან გოგონები. ხშირად ერთმანეთს სიტყვასაც აწყვეტინებენ და მიამბობენ თავიანთ ფიქრებზე, ოცნებებზე... უმრავლესობა სამუშაოს შემდეგ სწავლობს. ნანა ჭყონია და ციური მიქიაშვილი პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტები არიან. ციური უკვე მესამე წელია მუშაობს, დაამთავრებს და აქვე დარჩენას ფიქრობს...



ბისკვიტის საამქროს უფროსი ლიდა მახარაშვილი (შუაში) საუბრობს ცვლის უფროსებთან—ლია ბოლქვაძესთან (მარჯვნივ) და ქეთევან ყანდარელთან.

— ახალი წლიდან მუშაობას დაიწყებენ აი, ეს შემხვევი მანქანები, — ამბობს ტექნოლოგი ლეილა სულაქველიძე და საამქროს მთელ სიგანეზე დაწყობილ მანქანებს მიჩვენებს, — ახლა ისინი ათვისების პროცესშია...

ვუახლოვდებით ძვირფასი კამფეტების დამამზადებელი საამქროს ბრიგადირს კატუშა კორძაძეს. რვა წელია ის ამ დარგში მუშაობს. ვინ მოსთვლის რამდენ კილოგრამ შო-



ინჟინერი ლეილა სულაქველიძე.

კოლადს გაუვლია მის ხელში და ყოველთვის, დღის ბოლოს გეგმა გადაჭარბებულია. ამას წინათ ერთი თვის ხელფასით დააჯილდოვეს სანიმუშო მუშაობისათვის.

ბევრი საქმე აქვს საქალაქო საბჭოს დეპუტატს კატუშა კორძაძეს, ყველას ვერც ჩამოთვლი, მაგრამ ერთი კია — ის ყველას დაუზარებლად ეხმარება ყველაფერში. ამას თვით მისი ამომრჩევლებიც იტყვიან...

...კამფეტის საამქრო ყოველდღიურად 4-7 სახეობის კამფეტს უშვებს და განა ყველამ იცის, რომ «ბედნიერი ბავშვობა», «სათამაშო», «გაზაფხული», «ჩიო-ჩიო-სანი», «ფისო-ფისო», «გრიგალა», «ყარაყუმი», «ციყვი», «დათვი», «აბა წამართვი» და ბევრი, ბევრი სხვა სახეობის კამფეტი სწორედ აქ, ამ საამქროში მზადდება. აქ და კარამელის საამქროში მიდის სახარშავი ქვაბებიდან სიროპი, აქ იჩურთება სპეციალურ ფორმებში ჩასხმული შოკოლადი და კამფეტი...

...ახალ წელს მრავალი თბილისელის სუფრას დაამშვენებს ამ საამქროების მიერ სპეციალურად, სადღესასწაულოდ დამზადებული ტკბილეული.

ლია მგელაძე

კომბინატის დირექტორი ვიქტორია ებრალიძე (მარჯვნივ) და ინჟინერ-ტექნოლოგი ლეილა გოგიშვილი.



# დინარა ნოდია



«ჭიათურა»

«მწყემსი ბიჭი»



ვენის ფესტივალზე პრემირებულ საბჭოთა მხატვრებს შორის იყო ახალგაზრდა ქართველი მხატვარი დ ი ნ ა რ ა ნ ო დ ი ა. მის ნამუშევრებიდან ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ლინო-გრავიურა «ჭიათურა» და «რუსთავი», რომელსაც 1958 წელს კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო გამოფენაზე მიენიჭა მეორე პრემია. ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედება ყურადღებას იპყრობს თავისი თემის აქტუალობითა და ფორმის სიახლით.

ამჟამად დინარა ნოდია საქართველოს რესპუბლიკური გამოფენისათვის ხატავს სურათების სერიას ფოთის პორტზე, ვ. სურმავასთან ერთად მუშაობს მარიკა ბარათაშვილის პიესაზე «ჩემი ყვავილეთი», რომელსაც დასადგმელად ამზადებს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, მომავლისათვის დინარა ნოდიას მიზნად აქვს ასახოს ახალი სვანეთი.

ნიჭიერი მხატვარი ნაყოფიერად მუშაობს გრაფიკაში. ბევრი ქართველი მწერლის წიგნი მის მიერ გემოვნებით არის გაფორმებული.

# უშნო ნაძვის ხე

**ნაზი თარგამაძე**

პეტრე კერამიჩიევის ამავე სახელწოდების
ბულგარული ზღაპრის თემაზე

ერთ დიდ ტყეში ცხოვრობდნენ და
იზრდებოდნენ ხეები,
მოშრიალე, მოჩურჩულე,
მოლაპარაკეები.

ბერმუხები თუ ვერხვები,
მოვერცხლისფრო არყები,
ცაცხვები და ცირცელები,
ლამაზი და კარგები.

რცხილა, რცხილა, აქეთ თელა,
იფნები—თუ წიფელი,
ზოგი მწვანე ფოთლიანი,
ზოგიც ფოთლებწითელი.

ამ ტყეშივე ერთი ნაძვიც
იდგა განმარტოებით,
მეტად უშნო, ულამაზო,
მოღუნული რტოებით.

ერთხელ ტყეში ტყის მჭრელებმა
მოსჭრეს მუხა ძლიერი,
ყველა ხეზე ჭკვიანი და
ყველა ხეზე ხნიერი.

მოსჭრეს მუხა და გაისმა
ხმამაღალი გოდება:
—აღარა გვყავს ბერმუხაო,—
ფოთლებს ამცნეს ფოთლებმა.

აქ ატირდა მარტოდ მდგარი
ნაძვი ტოტებირები.
თავგაშლილი დობილები—
იქ ძეწნა და ტირიფი.

ატირდნენ და აშრიალდნენ
მუხის შვილთა შვილები,
ჯერ ნორჩები, პატარები,
ახლად აქოჩრილები.

ყველაფერი გათავდაო,—
ჩურჩულებდნენ შვილები,
უდედოთ ვერ ვიქნებითო
მხნე და წელგაშლილები.

აქ ბერმუხამ საყვედურით
შემოსძახა პატარებს—
ცრემლებით რათ მაცილებთო,
ხალისი გამატანეთ.

თქვენ არ იცით ქვეყნად ორჯერ
რომ ცოცხლობენ ხეები?
კაცი მოგვჭრის, გავცოცხლდებით
ისევ კაცის ხელებით.

კაცის ხელით გადვიქცევით
დაფებად და მერხებად.
—არ ვიცოდით...—გაიკვირვეს
ათრთოლებულ ვერხვებმა.

ზოგი სახლის სახურავად,
ელექტრონის ბოძებად,
მართალს ვამბობ, არ გიყვებით
არაკს გასაოცებლად.

მაგიდებად, კარადებად,
საწოლებად, ნავებად,
ხო და... ხალხს რომ ემსახუროთ
თავი დაგენანებათ?

ტყის მჭრელებმა ჩემზე სთქვეს და
აღარც უნდა მტკიცება,
მე გამთლიან ჭერისათვის
ჩუქურთმიან ფიცრებად.

აბა ახლა მივდივარ და
ყველას გთხოვთ ერთადერთს—
ძველებურად აღიღინდით,
ჩვენ კვლავ ვნახავთ ერთმანეთს.

და ბერმუხა ბრძენი, მშვიდი
გაემგზავრა იმ მხარეს,
სადაც ძვირფას ნივთის სახით
მეორეჯერ იხარებს.

ტყემ ცრემლები შეიმშრალა,
შესწყდა ოხვრის გუგუნი,
გათამამდა ხის ფოთლებში
მიმალული გუგული.

მხრებში ლაღად გაიშალნენ
მხრებდახრილი ტოტები,
ხეკაკუნამ გააგრძელა
წერა უცხო ნოტების

კვლავ გააბეს საუბარი
ერთმანეთთან ხეებმა,
ვინ რა ნივთად ივარგებდა,
იწყეს დასახელება.

ჩიტუნებიც აჭიკჭიკდნენ
და ჩაებნენ კამათში,
მათ იცოდნენ ხეებს როგორ
ამზადებდნენ ქალაქში.

როგორ სჭრიდნენ სწორ ფიცრებად
და ჯადოსნურ ხელებით
ბოლოს როგორ იქცეოდნენ
ავეჯად ეს ხეები.

ენა აღარ გააჩერა
ენაწყლიან კაჭკაჭმა,
და ყველა ხეს მომავალი
უცბად ჩაუკაჭკაჭა.

თქვენ მუხებო, ჭაბუკებო,
უკეთესი რა გინდათ?
თქვენ იქცევით მშვენიერ და
ძვირფას საწერ მაგიდად.

თავის თავზე მოტრფიალე
ეს ლამაზი იფნები
იქცევიან უძვირფასეს
კარადებად წიგნების

და ფიჭვები მეოცნებე,
ხშირ და გრძელწამწამება
ზღვის ტალღებზე აცურდება
გემებად და ნავებად.

ერთი სიტყვით რაც იცოდა
ენაწყლიან კაჭკაჭმა,
ვის რა ბედი მოელოდა
ყველას ჩაუკაჭკაჭა.

მხოლოდ ნაძვი, უშნო ნაძვი
არვის უხსენებია,
არც კაჭკაჭს და არც ბეღურას,
არც მტრედს ლამაზ ფრთებიანს.

ხო და ვეღარ მოითმინეს
მეტიჩარა იფნებმა,
ჩიტებს ჰკითხეს: ნაძვი? ნაძვი?
ნაძვი რაღა იქნება?

იქნებ კიდეც გვამჯობინონ
ნაძვი ყველა იფნის ხეს?—
დამცინავათ იკითხეს და
ნელა ჩაიხითხითეს.

ეგ მახინჯი? ალბათ შეშად,
შეშად დაიხერხება.
ხა, ხა, ხა, ხა—ლამაზ იფნებს
ბანი მისცეს ვერხვებმა.

სიბრალულით გადახედეს
კუზიან ნაძვს ჩიტებმა
უხერხულად მიიჩნიეს
ხეთა ჩახითხითება.

უზრდელობას მიაწერეს,
გაკილეს და გაჰკიცხეს,
და ჭიკჭიკით სანუგეშოთ
მიაშურეს ნაძვის ხეს.

უშნო ნაძვმა, მის ტოტებზე
შემოფრენილ ჩიტუნებს
მორცხვად უთხრა: სულ არ ვწუხვარ,
შეშობას არ ვიწუნებ.

მიხარია ხალხს რამეში
მეც თუ გამოვადგები,
თუ ჩემს ალზე გამოცხვება
გემრიელი ქადები.

თუ გავათბობ ცივ ზამთარში
მოხუცებს და პატარებს,
ამას რა სჯობს თუ სიცოცხლეს
უქმად არ გავატარებ.

განვლო წლებმა, ტყეში ისევ
გამოჩნდნენ ტყის მჭრელები,
ხის გულებში ააცეკვეს
ხერხი მარჯვე ხელებით.

სჭრიდნენ, თანაც ამოწმებდნენ
ხან ამ ხეს და ხან იმ ხეს,
ვინ სად გაემგზავრებოდა,
იქვე დაახარისხეს.

რცხილა ცალკე, თელა ცალკე,
აქ ნედლი, იქ ხმელები,
სულ სხვადასხვა მისამართით
გაამგზავრეს ხეები.

ნაძვი? ნაძვი? ისიც მოსჭრეს
და ნაჭრებად დახერხეს,
არც ცირცელებს გააყოლეს,
არც იფნებს და არც ვერხვებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის სულ ცალკე მოათავსეს
სატვირთო მანქანაში
და რახრახით ჩაიტანეს
ნაძვი დიდ ქარხანაში.

მერე რაღაც კბილებიან
მანქანაში ჩასცალეს,
ნაძვმა ფიქრიც ვერ მოასწრო,
წუთიც არ დააცალეს.

ღილაკს თითი დააჭირა
ერთმა ძია მუშამ და...
ბორბლის ბრუნვით და გუგუნით
მანქანა ამუშავდა.

და საზღვარი აღარ ჰქონდა
ნაძვის ხის გაკვირვებას,
ქერქები რომ მოაცილა
მის ტანს რკინის კბილებმა.

აქეთ-იქით რომ ცვიოდა
უშნო ნაძვის ქერქები,
რომ ხდებოდნენ ხის ნაჭრები
თეთრზე უფრო თეთრები.

თუ კი უნდა დამწვან და თუ
მაინც დავიფერფლები,
რას დამიშლის მექნება თუ
არ მექნება ქერქები?

ესა სთქვა და ხის ნაჭრები
თეთრები და პაწია
სხვა მანქანამ ახლა სულ წვრილ
ნაფოტებად აქცია.

ნაფოტები გადაუშვეს
პირგანიერ ქვაბში და
ადუგდუგდნენ მოტორები.
თან რაღაცა აქშინდა.

და ბოჭკოვან რძისფერ მასად,
პირზე მომდგარ ქაფითა
ნაფოტების თეთრი ფაფა
გადმოვიდა ქვაბიდან.

და ეს ფაფა დიდ ლილვებმა
დასწურეს და დაწნიხეს
ისე ძლიერ, რომ სუნთქვაც კი
გაუძნელდა ნაძვის ხეს.

უჭირს სუნთქვა... და გრძნობს ნაძვი,
რომ თხელდება ძალიან,
აღარც ხეს ჰგავს. აღარც ნაფოტს
და არც ცეცხლის ალია.

მიდის. მიდის. ფართოვდება
და გრძელდება გზადაგზა.
სიფრიფანა ლენტად იქცა
ბოლოს ისე დანაზდა.

მერე ლენტი მოგრძო ჯოხზე
აბრუნეს და ახვიეს,
დაამრგვალეს. დაამრგვალეს.
მსხვილ ხვეულად აქციეს.

რა პრიალა ქაღალდია,
რა თეთრი და ქათქათა.
ამაზე ხომ კიდეც დასწერ.
თუ გსურს კიდეც დახატავ.

სთქვა კაცმა და თეთრ ხვეულას—
ქაღალდს უშნო ნაძვის ხის—
წითელ ფანქრით წააწერა
«უმაღლესი ხარისხი».

ნაძვს ცოტა რამ წარმოდგენა
თითქმის ჰქონდა ქაღალდზე,
იცოდა რომ ზედ ხატავდნენ,
ასრულებდნენ ნახაზებს.

ფოსტალიონ-მტრედებს ფრთამალს.
მტრედებს ლამაზ ფრთებიანს
მისთვის თეთრი კონვერტები
ბევრჯელ უჩვენებიათ.

და არასდროს არ მოსვლია
თვითონ აზრი ასეთი.
რომ ოდესმე გახდებოდა
ან რუკა ან გაზეთი.

ხო და ნაძვმა, რადგან ახლა
თავი იგრძნო ქაღალდად,
კაცის ხელმა რადგან ასე
მშვენიერი გახადა—

ჩუმად. მორცხვად გაიფიქრა
მისმა გულმა პაწიამ:
რა იქნება ნეტავ ახლა
კონვერტებად მაქცია.

გამატანდნენ ვრცელ წერილებს.
თუ პაწია ბარათებს,
გზად არსად არ შევჩერდები.
ღამეს არსად გავათევ.

გავფრინდები სწრაფად, პასუხს
არვის დავუგვიანებ.
კეთილ ამბებს მივახარებ
კეთილ ადამიანებს.

ასე ბჭობდა და ნატრობდა
ნაძვი ქვეყნის შემოვლას,
რომ უეცრად მიაყენეს
უზარმაზარ შენობას.

აქ დაიწყო მისი მართლაც
ჯადოსნური გარდაქმნა:
ის ხვეულა თეთრ ქაღალდის
პრიალა და ქათქათა—

ტოლ ფურცლებად დასჭრეს, მერე
ფრთხილად და სასოებით
ზედ დაბეჭდეს უამრავი
ლამაზი ასოები.

შემდეგ. შემდეგ საღებავებს
საღებავი მოჰყვა და—
ეს ფურცლები უცხო ხელმა
მოქარგა და მოხატა.

ნაწერები. ნახატები.
დანომრეს და დააწყვეს.
აჰკინძეს და ფურცლებს ტანზე
ჭრელი კაბა ჩააცვეს.

არც კონვერტად აქციეს და
არც გვერდები დასწვია,
უშნო ნაძვი კაცის ხელმა
ძვირფას წიგნად აქცია.

წიგნი ისე დიდებულად
გამოიყურებოდა,
თუ ეს უშნო ნაძვი იყო.
აბა ვინ მიხვდებოდა?

ფრთხილად შლიდნენ პატარები
ამ წიგნს სუფთა თითებით,
გულმოდგინედ კითხულობდნენ.
მშვიდად და დაფიქრებით.

ხან ღიმილით. ხან ცრემლიც კი
მოსდიოდათ თვალიდან,
და წაკითხულს ზოგჯერ ისევ
კითხულობდნენ თავიდან.

შეურჩიეს ბინა წიგნს და
მის უნაზეს სამოსელს —
ნაზ იფნის ხის კარადაში
ჭრელ არყის ხის თაროზე.

ლამაზ იფნის ხის კარადას
მოეწონა წიგნი და
ბროლისთვალა მისი კარი
ხმამაღლა აწრიპინდა:

რა საუნჯე ცხოვრობს ჩემთან,—
გადასძახა მაგიდას.
რა მშვენება...—არყის თარომ
დაუმოწმა მაღლიდან.

რა დიადი!—სთქვა მაგიდამ,—
რა მცოდნე და ჭკვიანი.
მას ყოველდღე ჩემს გულზე შლის
ბრძენი ადამიანი

ვიცნობ. ვიცნობ, წიგნი ჰქვია
შენს მშვენიერ ბინადარს.
ნუ ტრაბახობ... შენზე ადრე
მე მწვევია წინადაც.

უშნო ნაძვმა. იფნა მუდამ
რომ უმზერდა ულირსად.
მოიწონა ეს პასუხი
ახალგაზრდა მუხისა.

და ყოველთვის მორცხვმა ახლაც
თავი დაბლა დახარა.
ეს მე ვარო,—ამაყ იფნას
პირში არ მიახალა.

იფნამ განა დაიმორცხვა.
გააგრძელა ტრაბახი,
დიდებულთა მოდგმის ვართო,
არ გვაქვს ჯიში გლახა ხის,

უშნო ნაძვი რომ ხედავდეს
ჩვენს ძმობას და ჩვენს კავშირს—
როგორ ვცხოვრობთ წიგნთან ერთად
ერთ ბიბლიოთეკაში.

გახმებოდა შურისაგან.
მოკვდებოდა დღეს თუ ხვალ.
შენ რას იტყვი? ხომ ასეა,
ბრძენთაბრძენო ბერმუხავ?

ჭერად ქცეულ ბერმა მუხამ
უშნო ნაძვი იცნო და
დინჯად. უხმოდ გაიღიმა,
როგორც მუდამ იცოდა.

ჩუქურთმიდან აშეტყველდა
ორაზროვან მზერითა,
გაყუჩდა და არაფერი
დასცდენია ენიდან.

ნაძვი? ნაძვი იფრის ხითხითს
ძველებურად თავს უხრის.
და არ ცდილობს შეარცხვინოს,
გასცეს მკვახე პასუხი.

წიგნად ქცეულ გულკეთილ ნაძვს
გული დარჩა უცვლელი,
და მეტყველებს სიკეთეზე
მისი ყველა ფურცელი.

ამიტომაც არის წიგნი
ყველასაგან ქებული.
ყველა ნივთზე მაღლა მდგარი,
ყველგან დაფასებული.

დიდები თუ პატარები
შლიან სუფთა თითებით,
გულმოდგინედ კითხულობენ,
მშვიდად და დაფიქრებით.

და ეს წიგნიც, ახლა შენ რომ
ფრთხილად ფურცლავ. პაწიავ.
ეს ის უშნო. ულამაზო,
კუზიანი ნაძვია.

რას გაოცდით, ჩემო მალხაზ,
ხათუნა და ციალა?
ნაძვზე რაც ვთქვი, სიმართლეა,
მოგონილი კი არა.

კიდევ გეტყვით—ხათუნას რომ
ჭრელი კაბა აცვია,
ისიც უშნო. ულამაზო
კუზიანი ნაძვია.

ამას სხვა დროს მოგიყვებით,
ამას სხვა დროს გიამბობთ—
გონიერმა კაცმა ხეში
ძაფებს როგორ მიაგნო.

— ტანაყრილი ნაძვებიო,
ლალები და ლამაზი?
—რისთვის ვარგა?—მე ნუ მკითხავთ,
გია. ნანა, რამაზი.

ან დედები გიამბობენ.
ან დები და ან ძმები.
მე კი ერთს გთხოვთ—აღარ მოჭრათ.
გააშენოთ ნაძვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხი ყველაფრის გაკეთებას შეძლებს

25 წლის წინათ (1934 წ.) ხალხის მტრებმა ვერაგულად მოკლეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ს. მ. კიროვი.

ვბეჭდავთ ნაწყვეტს ვიტალი ზაკრუტკინის შთაბეჭდილებების წიგნიდან—«კავკასიური ჩანაწერები».

არასოდეს დამავიწყდება ის წუთები. როცა გვარდიის ათასეულის ჯარისკაცებთან ერთად შევდიოდი კვამლში გახვეულ ახლადგანთავისუფლებულ სოფელ გიზელში. სიტყვა უძლურია ჩემი განცდების გადმოსაცემად. სიხარულისგან სიცილიც მინდოდა და ტირილიც. მზად ვიყავი მეყვირა. გადავხვეოდი თვითეულ ჩემს ამხანაგსა და თვითეულ მცხოვრებს, რომელიც ჩვენს შესახვედრად მორბოდა. მეხსიერებაში აღსდგა ზაფხულის უკანდახევის მწარე გზებიც. ჩვენი გამცილებელი ქალების ტანჯვით სავსე თვალებიც. თავის-თავისადმი სასტიკი უკმაყოფილებაც და საერთოდ ყველაფერი ის. რაც ახლა ადგილს უთმობდა ახალ. მხურვალე სასიხარულო გრძნობას.

* * *

მთელი ამ დღეების განმავლობაში პირველად გაჰკვეთეს ღრუბლები მზის სხივებმა და მთების წვერებზე აელვარდნენ. თვით მზე ხეობაში არა ჩანს. მაგრამ მთის კალთებზე მისი გამონაშუქი ავარდისფერდა და ხეობებში მოცურავე ნისლს ოდნავ შეეხო მისი სხივების ოქროსფერ-მოწითალო ანარეკლი.

მოხუცი ბიმბულატ დაუროვი მორზე ზის მუხლებზე ჰკლავებშემოხვეული. მე მის გვერდით ვდგევარ და ჩიბუხს ვეწევი. ჩვენ გვესმის ზარბაზნების გრიალი და მღელვარებისაგან ძუნწად. მაგრამ მხიარულად ვესიტყვებით ერთმანეთს

მოხუცს თეთრი ცხვრის ტყავის ქუდი ახურავს. თეთრი შალის წინდები აცვია. თეთრი წვერი აქვს და მთლიანად თოვლიანი მწვერვალივით ბრწყინავს.

ბიმბულატის ფეხებთან ქუფრი მდინარე შხაპუნობს. მდინარის გადაღმა ჩვენი ზარბაზნები ესვრიან უკანდახეულ ჰიტლერელებს. მარჯვნივ, წისქვილზე ცულების კაკუნი ისმის. იქითა ნაპირზე მწყემსები შოლტების ტკაცუნით ცხვრებს მოდენიან ტყიდან. მეზობელ ეზოში ქათმებს აპურებს მონაზონივით შავთავსაფრიანი ოსის ქალი.

მდინარის პირას წყლისკენ თავშექცეული ფაშისტი ჯარისკაცის გვამი გდია. კვამლის შავი ღრუბელი მოცოცავს.

მოხუცი ბიმბულატ დაუროვი ნესტოებს ბერავს, მოყინული ხის ქერქის მწკლარტე სუნს ისუნთქავს და ჩუმად ამბობს:

— მტერმა დაანგრია ჩვენი სახლები. გადაჩეხა ჩვენი დარგული ხეები. დაანგრია წისქვილი, გაძარცვა ჩვენი კოლმეურნეობები. მტრის ჯარისკაცები რკინის ბურღებითა და ხრახნისებით გადმოდიოდნენ ჩვენი კარის ზღურბლზე. ვინც უფრო ახალგაზრდა იყო; ტყეში წავიდა და ძროხები და ცხვრებიც გარეკა. მოხუცები კი, ვისაც სიარული არ შეეძლო, შინ დარჩნენ. ხომ არ გგონია მტრებმა შეიცოდეს მოხუცები? არა, მათ მოჰკლეს კოლმეურნე აბისალ ბატაგოვი, სამოცდახუთი წლის მოხუცი. მათ ზუმბებით აწამეს მოხუცი ლიხან დუევი და მხეცურად სცემეს კონდახებით ოთხმოცდახუთი წლის სალ კუკდუხოვს. მაშინ კი მოხუცებიც წახოხდნენ მაირამაგადის ხეობაში...

ბიმბულატ დაუროვმა წამით შეხედა ჯარისკაცის გვამს.

— მას ჩვენი ცხოვრების ჩაკვლა. ჩვენი სიმართლის დათრგუნვა უნდოდა. მაგრამ ცხოვრების მოკვლა შეუძლებელია...

ბიმბულატმა წარბები შეჰყარა და ხელი ასწია.

— გაჰხედე იმ ნაპირს ხედავ? ხალხი უკვე მუშაობს წისქვილში. მწყემსები ხეობიდან მოერეკებიან ცხვარს, დედაკაცი კი ქათმებს აპურებს. მას ცხოვრების მოკვლა სურდა და აი. თვითონ გდია მკვდარი მდინარესთან. ცხოვრების მოკვლა არ შეიძლება. არც ჩვენი სიმართლის დათრგუნვა შეიძლება იმიტომ რომ ჩვენ სიმართლეს სუფთა გულისა და ნათელი გონების დიდი ადამიანი გვასწავლიდა.

— ვინ?—ვეკითხები მე.

— ჩვენი რუსი მეგობარი. სერგეი კიროვი.

— კიროვი აქ ცხოვრობდა?!

მოხუცი ბიმბულატი დარბაისლურად ისვამს ხელს ჭაღარა წვერზე და დაფიქრებით ამბობს:

— ჰო. ის ჩვენს სოფელში. გიზელში ცხოვრობდა და სიმართლეს გვასწავლიდა. მე გიამბობ ახლა მის შესახებ. შენ კი შენს ჯარისკაცებს მოუყევი. ეს რომ არ ითქვას, შეუძლებელია.

ბიმბულატი მკერდზე იჯვარედინებს მიწის მუშის შავ. ძარღვიან ხელებს და ჰყვება:

— ჩვენს გვარში. დაუროვებში. იყო ერთი ჭაბუკი. მას რუსი ხალხი უყვარდა და თავის თავსაც რუსულ სახელს თედორეს, —თედორე დაუროვს უწოდებდა. დიდხანს დადიოდა სხვადასხვა სკოლებში და შეეძლო ყველაზე სქელი და ბრძნული წიგნების წაკითხვა. ათას ცხრაას თვრამეტ წელს, როცა მთებში თეთრი ყაჩაღების ბრბოები დაძრწოდნენ და ირგვლივ ყველაფერი იწვოდა. თედორემ გიზელში ერთი კაცი მოიყვანა. ეს კაცი ახალგაზრდა იყო. ძლიერი. იცი, ისეთი, ნამდვილი რუსი ადამიანი. წრფელი და მხურვალე გულის. მას ლამაზი თეთრი კბილები ჰქონდა და თვალები უცინოდა. თედორემ მთელი ჩვენი გვარი შეკრიბა. იმ ახალგაზრდაზე მიგვითითა და გვითხრა: «აი, რუსი მეგობარი. სერგეი კიროვი. ლენინმა და სტალინმა იგი მთებში გამოგზავნეს. რომ ჩვენ სიმართლე გვასწავლოს. იგი ხალხის ყველაზე დიდი მეგობარია. მაგრამ თეთრი მგლები ნადირობენ მასზე. ერთ არამზადას მისი მოკვლაც კი უნდა». და ჩვენ აღშფოთებით ვკითხეთ: «ვის უნდა ჩვენი მეგობრის მოკვლა?» თედორემ გვიპასუხა: «მისი მოკვლა სოსლანბეგ ბეგაევს უნდა, ბატაკოიურტელ ტურას. რომელსაც ხალხი სძულს და უნდა ყაჩაღ ალდარებს მიგვყიდოს.»

ჩვენ შევიფარეთ სერგეი კიროვი სოფელში და მან, იმ დღეებში. ხალხს ადამიანური სიმართლე ასწავლა და ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა აჩვენა.

— დიდხანს იცხოვრა გიზელში?—ვეკითხები მე.

— არა. დიდხანს არა. მაგრამ ხალხის თვალის ასახელად დიდი დრო არ არის საჭირო.

მოხუცი ბიმბულატი დაფიქრებული უსმენს ზარბაზნების გრიალს. ჩრდილოეთისაკენ რომ მიიწევს და დიდხანს უყურებს ჩემს ფარაჯას.

— სერგეი კიროვი უბრალო ჯარისკაცის ფარაჯას ატარებდა.—წყნარად ამბობს.— ის გვიამბობდა, რას გვასწავლიან ლენინი და სტალინი. ამბობდა. რომ ჩვენ გავხდებოდით ამ მთების პატრონები და მოგვიწოდებდა ბრძოლისაკენ სიხარულისა და ბედნიერებისათვის. მას შემდეგ ბევრმა წელმა გაიარა. აგერ. მდინარის ზემოთ უკვე დაიზარდნენ მაშინდელი დარგული პატარა ჭადრები. ჩვენ უკვე შვილიშვილებიც გვყავს. დიდი ხანია დაიღუპა ჩემი მოგვარე თედორე დაუროვი. ის თეთრებისაგან ათავისუფლებდა ქალაქ როსტოვს. ჩვენ დავბერდით და მალე მოვკვდებით. მაგრამ სიმართლე. რომელსაც კიროვი გვასწავლიდა, დადის მთებში და ვერასოდეს ვერავინ ვერ მოჰკლავს მას.

ბიმბულატი დგება და ჯოხზე დაყრდნობილი დიდხანს უყურებს თერგისკენ მსრბოლ პატარა მდინარის აქაფებულ წყალს. შემდეგ ძალიან წყნარად ამბობს:

— დილაობით სერგეი კიროვი ამ მდინარეზე გამოდიოდა პირის დასაბანად და მზის ამოსვლას აქვე ხვდებოდა. მის ქერა თმაში წყლის წვეთები ბრწყინავდა. ის მღეროდა და იცინოდა. ერთხელ მან მითხრა: «თუ ხალხი მოინდომებს. მას შეუძლია გააკეთოს. რაც მხოლოდ ზღაპრებში ხდება, და ვერავინ მოჰკლავს ხალხის სულსა და მის სიმართლეს». ასე თქვა მან მაშინ.

მე ვემშვიდობები ბიმბულატ დაუროვს და მივდივარ ნაწილში. რომელმაც გიზელი გაათავისუფლა და შეტევას აწარმოებს მდინარე ფიაგდონზე. სადაც მტრის გრენადერები და სამთო მსროლელები არიან ჩასაფრებული.

ჩემი გული სიხარულით ძგერს და მე ვფიქრობ:

«შეტევა დაიწყო. თუ ხალხი მოინდომებს, ყველაფრის გაკეთებას შეძლებს...»

თარგმნა **ზეინაბ გოშაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მღერიან დები იშხნელები

«ჩემო ციცინათელა, საით ფრენ ნელა-ნელა, შენმა შორით ნათებამ დამწვა და დამანელა»...

ეს სიმღერა პირველად არქიელის გორაზე მდგარმა დიდმა ცაცხვებმა გაიგონეს, გაიგონეს და ფოთლები შეაშრიალეს, გაიგონეს და რტოები დაბლა დახარეს, რომ უკეთ მოესმინათ საამური ქართული სიმღერა... მას შემდეგ ცაცხვები ისევ იქ დგანან, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან და როცა ირხევიან, როცა ფოთლები ჩურჩულებენ, თითქოს «ციცინათელას» ჰანგს იმეორებენ...

იმ გაზაფხულს საოცრად ადიდდა რიონი, ადიდდა და უფრო მშვენიერი გახადა ქუთაისი, ამწვანებულ სანაპიროებს ჩამოუარა და უხვად გაჟღინთა მიწა მთის კალთებიდან ჩამოტანილი მაცოცხლებელი წყლით...

გაზაფხულზე სიმღერაც სულ სხვაგვარად ჟღერს, უხილავი ძალა ემატება და მდინარესავით ადიდებულს თან მოაქვს რაღაც შორეული და ძალზე ნაცნობი. იმ გაზაფხულს იშხნელების სიმღერაც სხვაგვარად ჟღერდა. დიდი ცაცხვის ქვეშ მღეროდნენ ალექსანდრე იშხნელის შვიდი ქალიშვილი და სამი ვაჟი. მათს სიმღერას, მშობლიურს ქართულს ახლო-მახლო მცხოვრებნი სახლიდან გარეთ გამოჰყავდა. სულგანაბული დამდგარიყვნენ შორიახლო, რომ მოესმინათ მათი სიმღერა. ზოგი ყვავილებს სთავაზობდა შვიდ დას, ზოგი ტკბილეულს — ასეთი ტკბილი სიმღერისათვის.

ზამთრობით მერცხლებივით გაუჩინარდებოდნენ ხოლმე დები, გარეთ იშვიათად გამოდიოდნენ და მაშინ მათი ოთახის ფანჯრიდან ილვრებოდა სიმღერა.

— იშხნელების ოჯახში კედლებიც კი მღერისო, — ხშირად უხუმრიათ მეზობლებს.

ალექსანდრე იშხნელის მეუღლეს, ათი შვილის დედას, ვასასი ლოლაძეს მეტად სასიამოვნო ხმა ჰქონდა და მშვენივრად მღეროდა. მისი ძმები გიორგი და კონსტანტინე ლოლაძეებიც კარგი მომღერლები ყოფილან... დედაც სიამოვნებით ასწავლიდა სიმღერას თავის შვიდ ქალიშვილსა და სამ ვაჟს.

ოჯახის უფროსს, ქუთაისის თვითმმართველობის უბრალო მოხელეს, აბა, რა უნდა ეშოვა, რომ ასეთ მრავალრიცხოვან ოჯახს გასწვდომოდა. უჭირდათ.

— სიმღერა დარდს მიმსუბუქებს და ძალას მაძლევსო, — ეტყოდა ხოლმე ვასასი ქმარს, როცა ცხოვრების უკულმართობით გაბოროტებული ალექსანდრე ცოლს შეუძახებდა:

— ქალო, ლუკმა პური არა გვაქვს და რა გემღერებაო.

ალექსანდრე იშხნელმა მაინც იმარჯვა და ათივე შვილი მიაბარა სასწავლებლად. გიმნაზიაში ბავშვებს უშლიდნენ ქართულად ლაპარაკს, ქართულ სიმღერას, მაგრამ მაინც მთელმა ქუთაისმა იცოდა, როგორ მღეროდნენ იშხნელის შვილები.

ერთ-ერთ საღამოზე, რომელიც ქუთაისის თეატრში გაიმართა, ისინი ფარულად მიიწვიეს, რადგან გიმნაზიის გამგე სასტიკი წინააღმდეგი იყო იშხნელების საჯარო გამოსვლებისა, აფიშებშიც არაფერი იყო ამის შესახებ. დაიწყო კონცერტი. რამდენიმე ნომრის შესრულების შემდეგ, ფარდა კვლავ აიხადა, სცენაზე ბნელოდა. სიბნელეში გაისმა წკრიალა ხმები, მღეროდნენ «სულიკოს». მაშინვე იცნეს იშხნელები. დარბაზში ჩურჩული ატყდა. სიმღერის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ ცხრებოდა ტაშის გრიალი. იძულებულნი გახდნენ შუქი აენთოთ, იმ საღამოს იშხნელებმა კიდევ რამდენიმე ქართული სიმღერა შეასრულეს. ეს იყო მათი პირველი გამოსვლა თეატრის სცენაზე, ფართო აუდიტორიის წინაშე.

ამის შემდეგ იშხნელებს უკვე ხშირად იწვევდნენ საიუბილეო საღამოებზე. გალაკტიონ ტაბიძის იუბილეზე, რომელიც პოეტს მისმა საყვარელმა ქუთაისმა გადაუხადა, იშხნელები მღეროდნენ გალაკტიონის ლექსებს.

მაშინ ქუთაისის მოწინავე საზოგადოებრიობა ხშირად მართავდა საქველმოქმედო საღამო-კონცერტებს. ამ საღამოებში მონაწილეობას

დები იშხნელები შვილებთან და შვილიშვილებთან



ილებდნენ იშხნელებიც. ერთხელ დები სენაკში მოხვდნენ. იქ გაიცნეს ახალგაზრდა აკაკი ხორავა. გადაწყვიტეს მოეწყოთ სცენისმოყვარულთა საღამო-კონცერტი. დები მღეროდნენ. აკაკი ხორავამ და მისმა ამხანაგებმა კი წარმოადგინეს ნაწყვეტი პიესიდან.

გავიდა დრო... იშხნელების ანსამბლი ქუთაისს გასცდა. დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მართავდნენ კონცერტებს დები. შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოსაც ეწვივნენ. მალე მარიამ და ივანე იშხნელები მიიწვია იმ დროს განთქმულმა ქართული ხალხური სიმღერების გუნდმა, რომელსაც შარაბიძეები ხელმძღვანელობდნენ. ვლადიმერი კუხიანიძის გუნდში გადავიდა; უფროსი და ვალენტინა ხანდახან ცალკე კონცერტებით გამოდიოდა და ჩინებულად ასრულებდა ქართულ ხალხურ რომანსებს. დრომაც თავისი გაიტანა. ჯერ ვალენტინა მარიამი და ნინო გათხოვდნენ. შემდეგ უმცროსი დები: თამარი, ზინაიდა, ალექსანდრა და ელენე. სხვადასხვა ქალაქებში წავიდ-წამოვიდნენ და საკუთარი ოჯახები მოაწყვეს. მაგრამ სიმღერას მაინც არ ივიწყებდნენ. დროდადრო ერთად იკრიბებოდნენ და კვლავ მღეროდნენ.

დებმა საბოლოოდ თბილისი აირჩიეს საცხოვრებლად. კვლავ ერთად იყვნენ. ერთად მღეროდნენ, თავიანთი რეპერტუარი თბილისური სიმღერებით გაამდიდრეს. აქ იშხნელებს უმცროსი და ელენე გარდაეცვალათ. ახლა ისინი ექვსნი მღეროდნენ, გამოდიოდნენ დიდი დღესასწაულების აღსანიშნავად გამართულ კონცერტებზე, კლუბებში. 1940 წელს პირველად იმღერეს მიკროფონთან. ახლა უკვე მთელი საქართველო უსმენდა მათ.

მეტად თავისებური და განუმეორებელი კოლორიტით მღერიან იშხნელები. ყველა სიმღერას საკუთარ ყაიდაზე ამუშავებენ და იშხნელისებურ იერს აძლევენ. «დებ იშხნელებს არ მიუღიათ პროფესიული განათლება. მათ ბუნებრივი ხმები აქვთ. მათი შესრულების მანერა ქართული ხალხური სიმღერის საუკეთესო ტრადიციების გავლენით ჩამოყალიბდა». —წერდა ჟურნალი «სოვეტსკაია მუზიკა».

ხალხისაგან ისწავლეს მათ სიმღერა ასე უბრალოდ და გულში ჩამწვდომად, შემოქმედებითად მიუდგნენ ხალხურ სიმღერებს და ახალი სული ჩაუდგეს მას.

ვანო სარაჯიშვილის იუბილეზე თბილისის საოპერო თეატრში დებმა შეასრულეს «მხოლოდ შენ ერთს» და «ვანოს დარად». ვანოს იშხნელები პატარაობიდანვე იცნობდნენ. იგი იშხნელების უფროსი დის ვალენტინას დიდი მეგობარი ყოფილა და ხშირად დადიოდა ხოლმე მათ ოჯახში.

დიდი სამამულო ომის დღეებში იშხნელების სიმღერები ძალას მატებდა მეომრებს. დები მღეროდნენ მეომრების წინაშე გამართულ ღია ესტრადაზე, ღია ცის ქვეშ, საბარგო ავტომანქანების ძარაზე მღეროდნენ ჰოსპიტლებში. მეომრები აღტაცებულ წერილებს სწერდნენ ფრონტიდან და სთხოვდნენ მათ კიდევ ერთხელ ემღერათ რადიოთი. «თქვენი სიმღერები ძალას გვმატებენო».—იწერებოდნენ ისინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით 1949 წელს დებს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეთა საპატიო წოდება მიენიჭათ.

1953 წელს იშხნელები მოსკოვს მიიწვიეს კონცერტების გასამართავად და დიდი წარმატება ხვდათ იქ. საკავშირო რადიოში მათი რამდენიმე სიმღერა ჩაწერეს ფირზე. სწორედ ამ ფირებით საზღვარგარეთაც გავრცელდა იშხნელების სიმღერები. ახლა ყველგან ისმენენ მათ. საქართველოს რადიოს მუსიკალურ რედაქციაში ინახება რადიომსმენელთა უამრავი წერილი თხოვნით—იშხნელთა სიმღერები მოგვასმენინეთო.

«ციცინათელა», «სულიკო» და ბევრი სხვა ქართული ხალხური სიმღერა ხალხში იშხნელების მიერ არის გავრცელებული. ცნობილია თუ როგორი პოპულარობით სარგებლობენ ეს სიმღერები ჩვენი სამშობლოს გარეთაც.

ამბობენ «კვიცი გვარზე ხტისო»—იშხნელების შვილებსა და შვილიშვილებსაც ძალიან უყვართ სიმღერა. ჩვენ მოვისმინეთ იშხნელთა შვილების—თინათინ რუსიშვილის, ლილი დეისაძის და ქეთევან ხუციშვილის ხმაშეწყობილი სიმღერა. იშხნელების შვილიშვილებმა კი—მანანა მენაბდემ, ნანა დჲებუაძემ და ალისა იშხნელმა ზეპირად იციან ბებიების მთელი რეპერტუარი.

მდიდარია იშხნელების რეპერტუარი. მეტ წილად ისინი მღერიან აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვა ქართველ პოეტთა ლექსებს. ქართული ხალხური სიმღერების გარდა მათ რეპერტუარშია ძველი რუსული სიმღერებიც, მაგრამ დები იშხნელები უპირატესად მაინც ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებლები არიან.

**ლამარა ბოკერია**




## 1. სოფელს ალამაზებენ ქალები

ზემო იმერეთში სოფლები ერთმანეთს ჰგავს. ოდები სერებზეა, შორიშორს. წინ აივნები აქვთ, რიკულებიანი და ფართო. იქიდან რომ გადმოდგები და მეზობელს გასძახებ, ეხო ვენახზე გადივლის. ვენახი სანაქებოა, მოვლილი. ეს ოჯახისთავის კაიკაცობას ამტკიცებს. თუ იმერეთში კაცს ვენახი არ უვარგა, იგი არცა კაცია. «ციცკა» და «ცოლიკაური» მიტომ ისმევა, რომ მუშაკს მის ნაფუძარში ოფლი უღვრია. ეზოს კიდეებში თუთის ხეებია, ერთი და ორი კი არა, ურთვალავი. ესეც მისთვის უნდათ, რომ ჭია დაპურონ. თუ ეზოში თუთის ხეები არ ჭარბობს, ოჯახს დიასახლისი არ უვარგა.

ზემო იმერეთში სოფლები ერთმანეთს ჰგავს და არცა ჰგავს. ეს მიტომ, რომ ყველა სოფელს თავისი სახელი აქვს, წარსული და აწმყო, ზოგს ღელე ჩაუდის, ზოგან სულ არ არის ღელე და ზოგს ყვირილა უმეზობლდება. ესეც არ არის ყველაფერი. მთავარია, რომ ყველა სოფელს თავისი ხალხი ჰყავს.

ზემო იმერეთში ორი სოფელია დი ერთი სახელი ჰქვია. სვირელებს რომ ჰკითხოთ, პირველი სვირი ჯობია თუ მეორე, ორივე ერთიაო, —გეტყვიან. ეს მიტომ, რომ წინათ მართლაც ერთი სოფელი ყოფილა. ხალხიც ერთი სოფლისა იყო. ერთმანეთის გატანა იცოდნენ და ახლაც ერთმანეთისგან არ გაიწირებიან.

სვირი დიდი სოფელი იყო, ხალხმრავალი და ამიტომაც მერე გაყოფილა. შუაში საზღვრად მდინარე დაუგდიათ—შაველა.

ახლა ორი სვირია—პირველი და მეორე, მეზობლად არიან, ერთმანეთს ემიჯნებიან, მაგრამ მაინც სხვანი არიან—თავიანთი ხალხი ჰყავთ.

სოფლის ძლიერება მის ადამიანებშია. რაც მეტი ბავშვი იცინის, სოფელი მეტად მხიარულობს, რაც მეტი ჯეელია—მეტად ჯეელობს, რაც მეტი მოხუცია—მეტად დარბაისლობს.

სოფლის ღონე ოჯახების ძალაშია. ოჯახის სიმტკიცეს კი ოდითგანვე დედაკაცი უფრთხილდებოდა. თუ ფუძე ძლიერი იყო, ეს მიტომ, რომ დედა ვაჟებს ამრავლებდა და ქალიშვილებს თავისი ცხოვრებით მაგალითს აძლევდა. დედა გარეთაც მუშაობდა, ეზო-კარმიდამოს უვლიდა. სტუმარს შინ იპატიჟებდა და მტერს კარს არ უღებდა. თუ სოფელს კარგი დედაკაცები ჰყავდა, მისი ნამუსიც წმიდა იყო და სახელი შეულახავი. ლამაზი ქალი სოფელს ალამაზებდა, დიასახლისი—უვლიდა, დედა—შვილებს უზრდიდა და მანდილოსანი მანდილს არ არცხვენდა.

ასეთი ქალები ადრეც ყოფილან და ახლაც რომ გაიაროთ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, მრავლად ნახავთ ლამაზებს, დიასახლისებს, გამრჯეებს, ნამუსიანებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ მიხეილ შოლოხოვის ნაწარმოებები. ისინი 1925—56 წლების მანძილზე 56 ენაზე 440-ჯერ გამოიცა საბჭოთა კავშირში, ხოლო საზღვარგარეთ—1945—53 წლებში 17 ენაზე 116-ჯერ.

ამასწინათ, «საბჭოთა მწერალმა» გამოსცა მ. შოლოხოვის «წყნარი დონის» მეოთხე ტომი.

თინათინ ჯავახიშვილმა მრავალი წლის დაძაბული შრომის შემდეგ ქართულ ენაზე აამეტყველა საბჭოთა ლიტერატურის ეს ერთერთი შესანიშნავი ძეგლი.

## 2. გაზაფხული უხარია შურას

შურა სამი ვაჟის დედაა. ერთს რომ ზესტაფონში ისტუმრებს, მეორე კალთას სწევს—მშიაო...

მათი სახლი მაღლობზე დგას, სხვა ოდებს ზემოდან დაჰყურებს. შარაგზა ქვემოთ გადის და დედა დიდხანს ხედავს, როგორ მიდის შვილი სასწავლებელში. დაამთავრებს, კაცი იქნება, ცოლს მოიყვანს, შვილიშვილებს დაურწევს... ბებიას დაუძახებენ.

— მშია,—კალთას სწევს პატარა ბიჭი და შურას ახსენდება, რომ საქმეს მოცდა. ბიჭი სამზადისში მიჰყავს, წინ ცხელ რძეს უდგამს და მჭადს უფრჩხვნის.

შურა დილაზე ადრე დგება. ოთახში რომ სინათლეზე საგნების გარჩევა ხერხდება, სილიკო ცოლს ველარ ხედავს. გამრჯე ცოლი შეხვდა სილიკო კამლაძეს, სოფელში მოწინავე მეაბრეშუმედ თვლიან.

ქალიშვილობაში არ იცოდა შურამ, რა იყო ჭიის მოვლა. მათ სოფელში, სვირს რომ ემეზობლება, კვალითში, არც თუთის ხეები იყო და არც აბრეშუმი. ერთი სახლი ჰქონდათ, სამ შვილს ზრდიდა ქვრივი დედა და ბავშობიდანვე ბევრი აკლდა ქალიშვილობაში შესულს. ახალგაზრდა ცოლი ითხოვა სილიკომ, თავისზე უმცროსი. ოსტატად მუშაობისას გზაზე შეხვდა ლამაზი შურა და ცალად ვერ გაუშვა.

დილას ადრე ადგომა არაფერია შურასთვის. ღამეში სამჯერ დგება, რომ აბრეშუმი დააპუროს. ბავშვებისათვის წლობით მითევია ღამე და აბრეშუმს ერთ თვეს როგორ ვერ გავუთევო. თუ ცხელი დარებია, ღამით ღიად სტოვებს კარებს. ხის ჩელტებს ერთ ჯერობაზე სამჯერ მაინც უცვლის ქაღალდს. სისუფთავე ჭიას ისევე უხდება, როგორც კაცსო. დილაზე დაკრეფილი ფოთოლი რომ არ გაფუჭდეს, ღამით სველ ტილოს აფარებს.

ღამეებს ათევს შურა და ჭიებიც იზრდებიან. პირველ პარკს რომ შენიშნავს, ჩელტებზე ცახებს აფენს, არ დამიცვივდნენო. მერე შუაში გარდიგარდმო ხის ტოტებს აწყობს და მოსავლის მოლოდინშია.

აბრეშუმის პარკი მისი მოსავალია. სამ ჯერზე დასმული ჭია 30-35 კილოგრამ პარკს აძლევს ცალცალკე.

ლამაზია ოჯახის დიასახლისი და ოდაც ლამაზი აქვს. მაინც აბრეშუმის გულისათვის ცლის ოთახებს და ჩელტებს ჰკიდებს წყებად. გაზაფხულის მოსვლა უხარია—ოჯახში ჭია რომ სტუმრობს შემოდგომამდე.

მაღლობზე დგას მისი სახლი. აივნიდან მთელი სოფელი ჩანს. შორს კი პირველი სვირია, მეზობელი. შორელები ვერ ხედავენ, მაგრამ ახლობლებმა იციან—კალათებით დატვირთული შურა რომ დაღმართს დაუყვება, პარკი მიაქვს ჩასაბარებლად.

## 3. ბებია ანეტას «ცოლიკაური»

გამოჩნდება შარაზე და ჩამწკრივდებიან ბავშვები: ბახო, ტკბილი კვერი, ბახო ჩურჩხელა!

ბახო სიყვარულით შეარქვეს ბებია ანეტას, რომელსაც ხალათის ქვეშ ჯიბეებში ბავშვებისთვის ჩურჩხელა აქვს შენახული.

გამოჩნდება შარაზე და—მამიდა, როგორ გიკითხოთ,—ხვდებიან მოზრდილები.

ესეც იშვიათად არის. მისი ნახვა ან ძალიან ადრე შეიძლება, სანამ მინდვრად გავიდოდეს, ან გვიან ღამით, მჭადებს რომ დააკრავს და წაბლის ფურცლებს შემოუწყობს.

70 წლისაა ანეტა. სარივით გამართულია. მოკუზული სხვა არ უყვარს, თვით როგორ გაივლის! მთელი ცხოვრება ვაზზე დახრილია და მაინც ვაზივით არის გაშლილი. ნაოჭების არ ეშინია. რას დააკლებს ნაოჭები, როცა ვენახში ლერწებს ახვევს და ყლორტებს აკრავს.

70 წელი ზოგისთვის თურმე არ ყოფილა სიბერე,—ასე იფიქრებთ, როცა ნახავთ ანეტას.

კარგი მევენახის სახელი აქვს ბოჭორიძის ქალს. არც ადვილია კარგი მევენახე იყო. ბიჭიას მოწეული ღვინო ცნობილი იყო სვირში. ბიჭია კი მამა იყო ანეტასი. მამის ხელი გამოჰყვა ქალიშვილს. ვაზის მოვლა ნაზად იცის და გულისყურით, ისე, გასაზრდელს რომ უვლიან. დღრამდენი ვაზი გაზრდილა მის ხელში.

კარგი მევენახეა ანეტა ბოჭორიძე და 200-ზე მეტი შრომადღე აქვს უკვე.

ჰაუ, ანეტა ბებია!

იყო დრო, 700 შრომადღე რომ ჰქონდა. მაშინ მევენახეობის ბრიგადის ბრიგადირი იყო. მაშინ ომი იყო და დილით კი არა, ღამით დგებოდა მინდორში წასასვლელად. მაშინ ზურგით მიჰქონდა მთვარიანში თუ უმთვაროში საფქვავი, რომ მარაგი არ გამოლეოდა და მეზობლებისთვის მზად ჰქონოდა ჯამით ფქვილი. მაშინ ვერავინ იმიზეზებდა საფქვავი უნდა წავიღოო და ალიონზე მიჰყვებოდნენ ვენახში სამუშაოდ ქალები.

მაშინ ომი იყო და 14 დღედაღამე ყანას მკიდნენ ომში წასულების ცოლები.

ანეტა ბრიგადირი იყო, დილით კი არა, ღამით დგებოდა, რომ ძროხა მოეწველა, ყველი ამოეყვანა, ქათმებისთვის საკენკი დაეყარა და დროით გზას გადგომოდა. მანქანა სად იყო! ფეხით უნდა ევლო და სხვაზე ადრე ჩასულიყო ვენახში

მაშინ მხოლოდ ქალების მოწეული იყო ღვინო და ქვევრებში გადარევით დუღდა ბებია ანეტას «ცოლიკაური».

სვირში წურავენ ყურძენს. ბებია ანეტა შეუსვენებლად ამოდის აღმართზე, თავსაფარი ნიკაპთან აქვს განასკული. ხალათის ქვეშ ჯიბეებში ჩურჩხელა აქვს, ტკბილი კვერი. იცის, ბავშვები შორიდან მოჰკრავენ თვალს და გამოეგებებიან: ბახო!

აღმართს მოათავებს, შედგება და კმაყოფილებით უმატებს კიდევ ერთ შრომადღეს წინას. სოფელში ხმაურობს მაჭარი. «ცოლიკაური» ანეტას მოწეულიცაა.

## 4. ქორწილები იქნება

— არ თხოვდებით გოგოებო?
— ჯერ არა, სახლი გვაქვს მოსათავებელი.
— მერე და ბიჭები დაიცდიან?
— დაიცდიან.

ასე ამბობენ დები წაქაძეები. ერთი მეორეზე ოთხი წლით უფროსია. უმცროსს ლატუშას ეძახიან, მერიზე მაღალი და დასრულებულია.

ქალიშვილები სახლს აშენებენ. სახლი ისეთი გამოდის, მტერსაც გაეხარდება. ქალიშვილებიც მათ ჰქვია.

მარტო საკარმიდამო ვენახში 1400 კილოგრამი ყურძენი მოიწიეს.

უფროსს 200 შრომადღე აქვს, უმცროსს—250.

სვირში შემოდგომაზე ქორწილები იციან. მათი ქორწილი კი, ეტყობა, შემდეგისთვის გადაიდო. ალბათ იმ დღისთვის, 1200 მეტრ ფართობზე მერი ყურძნის პირველ მოსავალს რომ მიიღებს. ეს გაისად იქნება.

ლატუშა მასზე 4 წლით უმცროსია, მას არ ეგვიანება. მისი ვაზი საკოლმეურნეო ვენახში მხოლოდ ერთი წლისაა. სამი წლის მერე ისიც მოიწევს და მერე მისი ჯერიც მოვა.

შრომა დიდი აქვთ გოგოებს. მამაკაცის საქმესაც თვით აკეთებენ უმამოდ დარჩენილები. ომი რომ დაიწყო, პატარები იყვნენ, მამა წავიდა და აღარ დაბრუნებულა.

ერთი თვალი ოდა დარჩათ და აქამდე იქ ცხოვრობდნენ. ახლა მის გვერდით ორსართულიანი სახლი ამოიყვანეს.

დედა ავადმყოფია და მის საქმეს ინაწილებენ. იციან, როგორ მოუარონ აბრეშუმს, როდის უნდა ვენახს თოხი და წამლობა.

ასეთები არიან გოგოები სოფელში.

შემოდგომაზე ჭირნახულს ინახავენ. მერის და ლატუშას ეზოში ჩურჩხელები შრება, მეზობლად გოგო-ბიჭი ქორწილის დღეს ნიშნავს. მერი და ლატუშა არ ჩქარობენ. უმცროსმა შარშან დაამთავრა სკოლა, უფროსმა ცოტა ადრე. დრო მოვა და მათი ქორწილიც იქნება.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სემინარი მშობლებისათვის

## კოლექტიურობის გრძნობის აღზრდა ბავშვში

ბავშვის სულიერი ცხოვრება ემოციებით იწყება. მისი ეს ემოციები ადამიანებთან ურთიერთობაში წარმოიშობა. სწორედ ადამიანთა ჯანსაღი ურთიერთობა აძლევს ცხოვრებას ნამდვილ აზრს, სილამაზეს, ხალისს, ბედნიერებას.

კოლექტივიზმი, როგორც ნ. კ. კრუპსკაია აღნიშნავდა, ის თვისებაა, რომელიც იმთავითვე საჭიროებს აღმზრდელთა ყურადღებას. კოლექტიურობის გრძნობა ადამიანებთან ურთიერთობაში ვითარდება.

ბავშვისათვის პირველი კოლექტივი, ადამიანთა პირველი წრე, ძირითადად მაინც ოჯახია. ამიტომაც ოჯახი უახლოესი გარემოა ბავშვის მაღალი მორალური თვისებების განვითარებისათვის.

როდესაც ოჯახში იგრძნობა საზოგადოებისადმი ღრმა პატივისცემა, ოჯახის წევრთა შორის არსებობს ჯანსაღი ურთიერთობა, სიყვარული, ბავშვის აღზრდისადმი სათანადო პასუხისმგებლობა და ისინი პატიოსნად შრომობენ, კოლექტიურობის გრძნობა ბავშვში დადებითად ვითარდება. მისთვის უცხოა ეგოიზმი, სიძულვილი და შური ადამიანებისა და საზოგადოებისადმი.

მაგრამ არის საწინააღმდეგო მოვლენაც, როდესაც ოჯახი ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე და ადგილი აქვს შეცდომებსა და დამახინჯებებს ბავშვის აღზრდის საქმეში. ეს არის მაშინ, როცა ოჯახის წევრებს შორის არ არის ჯანსაღი დამოკიდებულება ან კიდევ ადგილი აქვს ბავშვისადმი ბრმა სიყვარულს.

ამის მაგალითს წარმოადგენს ერთი ასეთი დამახასიათებელი შემთხვევა: ვ. და ნ-ს ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ აუსრულდათ ნატვრა და პირველი ვაჟიშვილი შეეძინათ. გასაგებია, რომ ახალგაზრდა მშობლებს შვილი ძლიერ უყვარდათ. დედ-მამა პატარა ვ-ას ალერსის, ფუფუნებისა და მზრუნველობის ატმოსფეროში ზრდიდნენ, მის ყოველგვარ სურვილს დაუყოვნებლივ ასრულებდნენ. გადაჭარბებული მზრუნველობისა და უსაზღვრო ალერსის შედეგად ბავშვს გაუჩნდა აზრი, რომ მშობლები მხოლოდ მისი პირადი სიამოვნებისათვის არსებობდნენ, ამიტომ შეეჩვია მშობლებისადმი ბატონკაცურ დამოკიდებულებას.

მისი სურვილისა და მოთხოვნილების შესრულების ოდნავი შეფერხებაც კი ბავშვის გულისწყრომასა და ჭირვეულობას იწვევდა. ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდებოდა მისი მოთხოვნილებანი და მათი დაკმაყოფილების დაუცხრომელი სურვილი. მშობლებიც ბავშვის ასეთ მიდრეკილებას განსაზღვრულ დრომდე ხელს უწყობდნენ და ცდილობდნენ მისი ყოველგვარი სურვილი დაუყოვნებლივ დაეკმაყოფილებინათ. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა, მშობლებს მეორე ვაჟიშვილი შეეძინათ, რის შედეგადაც უფროს ვაჟიშვილს ჩვეული მზრუნველობა მოაკლდა. მშობლების ყურადღების ცენტრში უკვე უმცროსი შვილი დადგა.

ამ მოულოდნელობამ ვ-ში საშინელი გულისწყრომა გამოიწვია. იგი გრძნობდა, რომ მისდამი ყურადღების შენელების მიზეზი მისი უმცროსი ძმა იყო და ამიტომაც შურით აღივსო, თავის დამოკიდებულებას ძმისადმი მტრულ მოქმედებაში გამოხატავდა, და როგორც კი დროს იხელთებდა, პატარა ძმას სცემდა, თუმცა ამისათვის ის შემდეგ ისჯებოდა.

ვ-ას ასეთმა მოქმედებამ თანდათანობით ფართო ხასიათი მიიღო, გაღრმავდა მასში ეგოიზმი, ადამიანისადმი მტრული დამოკიდებულება, რამაც ტოლ-ამხანაგებთან ურთიერთობაშიც იჩინა თავი.

აი, საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს ბავშვში ეგოიზმი და მტრული დამოკიდებულება სხვებისადმი.

თუ ამ ფაქტს სათანადო ანალიზს გავუკეთებთ, დავრწმუნდებით, რომ ამ შემთხვევაში მშობლებმა უხეში შეცდომა დაუშვეს. პირველი შეცდომა დაშვებული იქნა მაშინ, როდესაც მათ უფროსი ვაჟიშვილისადმი გადაჭარბებული მზრუნველობა და ალერსი გამოიჩინეს, რითაც ხელი შეუწყვეს ბავშვში ეგოისტური სულისკვეთების განვითარებას.

მშობლებს ხშირად ავიწყდებათ, რომ შვილის ყოველგვარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და უზომო ალერსი დამღუპველად მოქმედებს მასზე. ბავშვის მხოლოდ ის მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილდეს, რომელიც აუცილებელია მისი სწორი აღზრდისათვის. ბავშვი იმას უნდა მივაჩვიოთ, რომ ზოგიერთი მისი მოთხოვნილების შესრულება ზედმეტია და მიზანშეუწონელი.

ალერსის დროსაც სათანადო ზომიერების და წონასწორობის დაცვაა საჭირო. იტყვიან ხოლმე, ბავშვს სიყვარული ზრდისო. შეიძლება ეს მართლაც ასეა. სწორი აღზრდა არ ნიშნავს, რომ ბავშვს მოაკლდეს სიყვარული და ალერსი, მაგრამ საჭიროა ზომიერება და ტაქტი. სიყვარული, როგორც ამას მ. გორკი ამბობდა, ქათამსაც შეუძლია, რადგან ეს თვისება უფრო ინსტიქტია. ადამიანისთვის კი მთავარია მისი გონივრული მომარჯვება. ბავშვს მარტო მისდამი სიყვარული კი არ უნდა ვაგრძნობინოთ, არამედ სხვებისადმი სიყვარული და პატივისცემაც განვუვითაროთ, პატარაობიდანვე მივაჩვიოთ ადამიანებისადმი თავაზიან დამოკიდებულებას, ასაკის შესაბამისად საკუთარი თავისა და სხვების მომსახურებას. ეს ხელს შეუწყობს ბავშვში კოლექტიურობის გრძნობის განვითარებას.

ზემოაღწერილ შემთხვევაში მშობლების მეორე ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ მეორე შვილის შეძენის შემდეგ მათი დამოკიდებულება უფროსი შვილისადმი შეიცვალა, გახდა ცივი და უხეში, რითაც მშობლები მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ. ვ-ამ მოულოდნელად იგრძნო მშობლების ნაკლები ყურადღება, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა მისი ეგოისტური განწყობილება, შურის და გაბოროტების გრძნობა. საჭირო კი იყო მშობლებს უფროს შვილთან დამოკიდებულებაში დაეცვათ წონასწორობა და მისდამი სიყვარული ბუნებრივად დაეკავშირებინათ უმცროსი შვილის სიყვარულთან. დაუშვებელია, როდესაც მშობლები რომელიმე შვილს გამოარჩევენ და მისდამი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ. ასეთი არანორმალური დამოკიდებულება შვილებისადმი, ნაცვლად ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემისა, წარმოშობს დაძმებს შორის შურსა და უპატივცემულობას.

მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახი ის პირველი და უახლოესი გარემოა ბავშვისათვის, სადაც სხვა მრავალ მაღალ მორალურ თვისებასთან ერთად მტკიცდება და ღრმავდება კოლექტიურობის გრძნობა.

დოცენტი **გ. ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ მივაღებინოთ ბავშვს მწარე წამალი

ექიმმა ბავშვს დაუნიშნა სტრეპტოციდი, სინტომიცინი, სულფოდიმეზინი... დედა რეცეპტით ხელში აფთიაქისკენ მიიჩქარის, მოაქვს წამალი. მაგრამ ხშირად მისი გასაჭირი სწორედ აქედან იწყება.

ბავშვს არ შეუძლია ტაბლეტის გადაყლაპვა, კატეგორიულ უარს ამბობს მწარე ფხვნილის მიღებაზე, აფურთხებს წამალს, ან კიდევ უარესი, უკან აბრუნებს ღებინებით.

იწყება თხოვნა, დაპირებები, ზოგჯერ მუქარაც. მაგრამ ჩვეულებრივ ამას არავითარი შედეგი არ მოაქვს და მაშინ მშობლები ხელს ჩაიქნევენ: «დავანებოთ თავი».

დანიშნული წამლის მიუღებლობამ კი შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ბავშვის ორგანიზმს: გააჭიანუროს ავადმყოფობა, მოგვცეს გართულებები. ამიტომ ძალიან საჭიროა მოთმინებით მივაჩვიოთ ბავშვი წამლის მიღებას და სამკურნალო პროცედურებს.

რაც უფრო დიდია ბავშვი, მით უფრო ადვილად ვიმოქმედებთ მის შეგნებაზე. მას ჩვენ შეგვიძლია ავუხსნათ, რომ წამლის მიღება აუცილებელია გამოჯანმრთელებისათვის. მაგრამ, გარდა ამისა, შეიძლება და საჭიროც არის წამლის არასასიამოვნო გემოს მიჩქმალვა.

მაღალი სიცხის, კატრალური მოვლენების დროს ექიმები ზოგჯერ ბავშვს უნიშნავენ ერთ მესამედ, ნახევარ ან მთელ ტაბლეტ პირამიდონს (ასაკის მიხედვით). ჩვეულებრივ, ბავშვს არ შეუძლია ტაბლეტის გადაყლაპვა, ამასთან, თუ ბავშვს ჩამოსივებული აქვს ნუშისებრი ჯირკვალი და ლორწოს რაოდენობაც გაზრდილია, მას მიდრეკილება აქვს ღებინებისაკენ. ამიტომ ყველაფერს ჯობია გავხსნათ პირამიდონი ტკბილ და თბილ ჩაიში, გემოსათვის კი დავუმატოთ ცოტა ლიმონის წვენი. ზუსტად ასევე უნდა მივცეთ კოდეინიც. სტრეპტოციდი და სულფოდიმეზინი წყალში არ იხსნება. ეს ტაბლეტები უმჯობესია დავფხვნათ და ავურიოთ შაქრის ფხვნილში, მურაბაში ან გახეხილ ვაშლში. ყოველგვარ საჭმელში შეიძლება გავურიოთ კალციუმის გლუკონატი.

ყველაზე უფრო ბავშვებს ანტიბიოტიკური საშუალებების მიღება უჭირთ, რადგან სინტომიცინი, ლევომიცეტინი, ბიომიცინი ძალიან მწარეა. ასეთი წამლები უეჭველად უნდა მივცეთ შაქრის სიროპში, თანაც ისე, რომ ფხვნილი სიროპის ზედაპირზე არ იყოს.

თუ ბავშვი წამლებს ასეც ვერ მიიღებს, მაშინ უნდა მოველაპარაკოთ ექიმს. მას შეუძლია გამოწეროს ანტიბიოტიკები სანთლების სახით. წამლის მიღების ასეთი მეთოდი უფრო ჩვილ ბავშვებისთვისაა მიზანშეწონილი, თუმცა ის მაინც ამცირებს წამლის ეფექტურობას.

თუ ბავშვს ყელში გამოვლება პირველად აქვს დანიშნული, ცხადია, ეს მისთვის რთული ამბავი იქნება, ამიტომ ძალიან კარგია, თუ თბილი, ანადუღარი წყლის ყელში გამოვლებას ჯანმრთელ ბავშვებს 3–4 წლის ასაკიდან შევაჩვევთ. საჭიროების დროს კი წყალში ექიმის დავალებით გავურევთ ამა თუ იმ სადეზინფექციო საშუალებას.

ექიმი რ. არკადიევა

მხატვარი გ. კასრაძე

# მინიატიურული მოთხრობები



### ნანა კანდელაკი

## ენამოსწრებული საყვედური

ცოლმა შეამჩნია, რომ ქმარი ბოლო დროს ზომაზე მეტად აქცევდა ყურადღებას თავის გარეგნობასა და ჩაცმა-კოხტაობას. მიხვდა, ქმარი გატაცებული იყო სხვა ქალით. დაღონდა. თავისი დარდი დედას გაუზიარა.

— ჩხუბი რომ დაუწყო, შვილო, საქმე საქვეყნო ხასიათს მიიღებს და შეიძლება ოჯახი დაენგრეს. კაცია, დაუთმე... გატაცება გაუვლის. შენი მოთმინებით ქმარსაც დაიბრუნებ და შვილებსაც მამას შეუნარჩუნებ,—დაარიგა დედამ.



— ჩხუბი რა საკადრისია...—შენიშნა ქალმა, —მაგრამ არ გავაგებინო რომ ყველაფერი ვიცი ეს არ შემიძლია.

იმავე ღამეს ქალმა გაიღვიძა და სიცილი დაიწყო.

— რა გაცინებს?..—იკითხა ცოლის სიცილზე გამოღვიძებულმა ქმარმა.

— სიზმარი ვნახე... თითქოს უცხო კაცი მეხვეოდა, მკოცნიდა, შენ კი ამის შესახებ არაფერი იცოდი,—კისკისით თქვა ცოლმა.

— ეგ რამ დაგასიზმრა, ქალო!—გაჯავრდა ქმარი.—არა გცხვენია მაინც. ან კი როგორ მიყვები ამის შესახებ!..

— სწორედ რომ მართალი ხარ, ასეთი რამ არც უნდა დამსიზმრებოდა, მაგრამ შენ ისა თქვი, რამდენად უსირცხვილო უნდა იყოს ის, ვინც ასეთ უსინდისობას ცხადში ჩადის!



## გაკვეთილზე

არითმეტიკის მასწავლებელი ბავშვებს წილადებს უხსნიდა. მასალის უკეთ შეთვისების მიზნით ერთ მოწაფეს პატარა ამოცანა მისცა:

— მამაშენმა სამსახურიდან ვაშლი მოიტანა. ოჯახში ოთხი სული ხართ. თვითეულს მთელი ვაშლის რა ნაწილი შეგხვდებათ?

— ამ ამოცანის ამოხსნა შეუძლებელია?—თავი გაიქნია მოწაფემ.

— რატომ?—გაუკვირდა მასწავლებელს.

— მამას სამსახურიდან ფული მოაქვს და არა ვაშლი. ვაშლს დედა ბაზარში ყიდულობს. მერე კი ერთი ვაშლი რა გასაყოფია ოთხს შორის, წამალია?..



## ახალი კაბა

მარინეს ახალი კაბა უყიდა დედამ, ჩააცვა და თან დასძინა: ეს ძველი და სხვა ახალი, ჩემო შვილიკო.

ეზოში გამოსულმა გოგონამ ახალი კაბა მალე ამოთხუპნა სილაში. მეზობლის ქალმა შენიშნა ეს და უსაყვედურა.

— ამას რას ჩადი, მარინე, გაგონილა ახალი კაბის ასეთ დღეში ჩაგდება?! დედამ რომ დაგინახოს, იცი როგორ გაგიჯავრდება?

— არ გაჯავრდება, არა. დედამ თქვა—ეს ძველი კაბაა, ახალი სხვა იქნებაო!..

## მწარე სიმართლე

ერთ სტუდენტს თავისი თანაკურსელი ქალიშვილი უყვარდა. ვაჟი კარგ სტუდენტად ითვლებოდა, ამხანაგების პატივისცემით სარგებლობდა, მაგრამ ღარიბი იყო და ობლობაში გაზრდილი თავისი შრომით იკაფავდა გზას.

ქალიშვილმა უარყო ვაჟის სიყვარული. ცოლად სხვას გაჰყვა...

ერთხელ ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს. ქალს ფეხი დაუცურდა. ვაჟმა ხელი შეაშველა.

— გმადლობთ,—დარცხვენით თქვა ქალმა, და ვაჟს პირდაპირ შეხედა,—არ მეგონა, თუ ამდენ კეთილშობილებას გამოიჩენდით.

— მამაჩემმა ქონება არ დამიტოვა მემკვიდრეობით, ქალბატონო, თორემ იცოცხლეთ, ზრდილობიანი იყო თვითონაც და ეს თვისება ჩემთვისაც არ დაიშურა!—თქვა ვაჟმა, თავი დაუკრა ქალს და გაბრუნდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჭარბთმიანობა და მისი მკურნალობა

რედაქციაში შემოვიდა ნ. ა-ნის (თბილისი) წერილი: «ორიოდე წლის წინ—წერს ის,—სახე ხშირი ბუსუსებით დამეფარა. ძალიან შევწუხდი და ვცადე მათი პინცეტით ამოგლეჯა. მაგრამ ამან უარესი დამმართა: ბუსუსების მაგივრად სახე ლოყებზე და ზემო ტუჩთან უხეში თმით დამეფარა. გთხოვთ მიშველოთ რამე, ამიხსნათ, რატომ ამომივიდა თმები და როგორ მოვახერხო მათი მოცილება.»

რედაქციამ ასეთი შინაარსის კიდევ რამდენიმე წერილი მიიღო. ჩვენ მივმართეთ ექიმ-კოსმეტოლოგს ვ. ცხოვრებაშვილს, განემარტა ჭარბთმიანობის მიზეზები და მასთან ბრძოლის საშუალებები.

ვბეჭდავთ მის წერილს.

ნერვული სისტემისა და შინაგანი ორგანოების ზოგიერთი დაავადება, განსაკუთრებით კი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციათა მოშლილობა ორგანიზმში მთელ რიგ დარღვევებს იწვევს, კანზე—დეფექტებს (გამონაყარი, ლაქები, სიმშრალე, სიმსივნე და სხვა). ერთერთ ასე გარეგან დეფექტად ითვლება აგრეთვე ჭარბთმიანობა.

ცნობილია, რომ ადამიანის კანი დაფარულია თმის მეტად ნაზი ქინქლით, რომელიც სხეულის განსაზღვრულ ადგილებში თმად გარდაიქმნება. ზოგჯერ თმა ზრდას იწყებს იმ ადგილებში, სადაც სულ არ იყო, ანდა მცირე რაოდენობით არსებობდა. ეს გარემოება განსაკუთრებით შეიმჩნევა შავგვრემან ქალებში. ჩვეულებრივ, ქალებს თმა ინტენსიურად ეზრდებათ სქესობრივი მომწიფების პერიოდში და კლიმაქსის დაწყებისას. ამ დროს თმის ნაზი ქინქლები მუქდება, იზრდება, უხეშდება და შესამჩნევი ხდება ლოყებზე, ზედა ტუჩთან, ნიკაპზე, სარძევე ჯირკვლების დვრილების ირგვლივ, ზედა და ქვედა კიდურებზე. ზოგჯერ თმის ასეთი ზრდა იმდენად ინტენსიურია, რომ ქალების სამართლიან შეშფოთებას იწვევს და ისინიც ჭარბთმიანობისაგან თავის დასაღწევად სხვადასხვა საშუალებას მიმართავენ: სახესა და კიდურებზე ამოსულ თმას იპარსავენ, პინცეტით იცლიან, თმიან ადგილებს პემზით იხეხავენ. იყენებენ დეპილატორებს (თმის მოსაცილებელი საშუალება).

სახეზე და კიდურებზე წარმოქმნილი თმის ნაზი ქინქლი არ არის კოსმეტიკური დეფექტი, მაგრამ ზოგიერთი ქალი მას ნაკლად მიიჩნევს და ცდილობს მოიშოროს ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით. ამის გამო მალე ეს ქინქლი მუქი ფერის უხეშ თმად გარდაიქმნება. თმის ზრდას აძლიერებს აგრეთვე ძლიერმოქმედი მალამოებითა და სხვადასხვაგვარი ფაფებით შეზელვა.

როდესაც თმის ქინქლი მცირე რაოდენობითაა და ნაკლებად შეიმჩნევა, უმჯობესია ის გაუფერულებით დავფაროთ, გამაუფერულებელ საშუალებად უნდა გამოვიყენოთ წყლით გაზავებული პერეჰიდროლი (1:10 ან 1:5). ეს ხსნარი უნდა წავისვათ თმიან ადგილზე, 1-2 საათის განმავლობაში დავტოვოთ და შემდეგ თბილი წყლით მოვიბანოთ. პირველ ხანებში, თმის გაუფერულებამდე, გაზავებული პერეჰიდროლი ყოველ დღე უნდა წავისვათ, შემდეგში—დღეგამოშვებით. აქვე ერთი უნდა შევნიშნოთ—არ შეიძლება პერეჰიდროლის ხშირი ხმარება,—ამან შეიძლება კანის გაღიზიანება, სიმშრალე გამოიწვიოს.

პერეჰიდროლის ხმარების შემდეგ შეგვიძლია პემზით ფრთხილად გავიხეხოთ სახის თმიანი ნაწილი, ყურიდან ნიკაპის მიმართულებით, ისე, რომ კანი არ გაწითლდეს.

გამაუფერულებელ საშუალებად შეგვიძლია გამოვიყენოთ აგრეთვე ბორაკის 10-პროცენტიანი ან 20-პროცენტიანი ხსნარი, ბორაკის ხსნარის ხმარება უკეთესიცაა: ის პერეჰიდროლზე ნაკლებ აღიზიანებს კანს.

სამკურნალო დაწესებულებებში თმის მოცილების შედარებით კარგ საშუალებად ითვლება ელექტროლიზი ან დიათერმიული ნაკადი, რომლებიც მოქმედებს თმის დვრილებზე, ამ მოქმედების შედეგად ხდება თმის ზრდის შეწყვეტა.

ამჟამად კოსმეტიკურ კაბინეტებში თმის მოსაცილებლად იყენებენ ჰოფმანის აპარატს, რომელშიც მოთავსებულია მუდმივი დენის მისაღები მშრალი ელემენტები. აპარატში ჩართულია 10 ნემსი, რომელიც თმის განლაგების მიმართულებით ჩადის თმის ბოლქვამდე, რაც ერთდროულად თმის რამდენიმე ღერის ამოცლის საშუალებას იძლევა.

თმის დამუშავება უნდა მოხდეს ექიმის ან გამოცდილი საშუალო მედპერსონალის მიერ ვინაიდან არასწორად ჩატარებული მკურნალობის შედეგად კანზე შეიძლება გაჩნდეს ნაწიბურები. ამ მეთოდით თმის დამუშავების ნაკლად უნდა ჩაითვალოს ხშირი რეციდივები, მკურნალობა ხანგრძლივ დროს მოითხოვს და ამასთან ოდნავ მტკივნეულია. სასურველი შედეგის მისაღებად საჭიროა მოთმინება და დრო.

ჭარბთმიანობის მკურნალობა ამ მეთოდით არ შეიძლება კანის და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს.

ვალიდა ცხოვრებაშვილი
ექიმი—კოსმეტოლოგი

# მოდის ქრონიკა

## სად რა უნდა ვატაროთ

შენ მშვენიერი კაბა შეგიკერავს, სათეატრო კაბა. კარგი გემოვნება გქონია, კაბა ლამაზად გადგას ტანზე, ეს ძვირფასი ყელსაბამიც საუცხოოდ ეხამება ქსოვილის ოქრომკედს.

მაგრამ მოიცა! შენ სასეირნოდ გასასვლელად ემზადები და ამ კაბას იცვამ, ფიქრობ თვალი დაუყენო ნაცნობ-მეგობრებს?...

ჩემი ნათქვამი შენს კარგ გემოვნებაზე იძულებული ვარ უკანვე წავიღო. ყველაზე ცუდ გემოვნებაზე მიუთითებს ის ამბავი, როდესაც ქალი მეტად ელეგანტური კაბით და სამკაულებით გამოდის ქუჩაში.

დაიმახსოვრე: რაც შეიძლება თეატრში ან წვეულებაში ეფექტური იყოს, ქუჩაში შეიძლება სასაცილო გამოჩნდეს.

ასეთივე სიფრთხილე გმართებს სამკაულის შერჩევისას. გეთანხმები, რომ სამკაული ელფერს უცვლის ჩაცმულობას, მაგრამ მხოლოდ შესაფერი სამკაული... ცუდი გემოვნების ნიშანია რამდენიმე სახის სამკაულის ერთად ტარება. თუ კაბაზე ან ჯემპრზე მძივს ატარებ, მიუტევებელია გულსაბნევის მიმატებაც. თუ კაბას ღილები აქვს ყელამდე, მაშინ მძივზე უნდა სთქვა უარი.

რა თქმა უნდა, სპორტულ სვიტრზე მძივს არ დაიკიდებ, ასევე ელეგანტურ საღამოს კაბაზე იმავე ყელსაბამს არ გაიკეთებ, რომელიც დღისით სპორტულ კაბაზე გქონდა. ამის თქმა შენთვის არცაა საჭირო სპორტულ ყაიდაზე შეკერილ კაბაზე მძივი სულ რომ არ გაიკეთო—ჯობია. მაგრამ თუ მაინცდამაინც ვერ ელევი, ეცადე რაც შეიძლება სადა შეარჩიო, რომელიც, რა თქმა უნდა, კაბის ფერსაც შეეხამება.

საერთოდ, ერიდე ყოველდღიურად ჩასაცმელ (სანიადაგო) კაბაზე მეტად ძვირფასი სამკაულების გაკეთებას. ეს უგემოვნობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ერთ რამესაც მიაქციე ყურადღება: უმჯობესია სადა, იაფფასიანი სამკაული, ვიდრე ნამდვილს მიმსგავსებული ყალბი თვლების ტარება.

ცოტა რამ ხელების მოვლაზე.

ყოველგვარი ჩაცმულობა ელფერს კარგავს, თუ ქალს ხელები არა აქვს მოვლილი. ხელების კარგი მოვლა არ ნიშნავს იმას, რომ ბრჭყალებივით წავიგრძელოთ ფრჩხილები. უზომოდ მოზრდილი ფრჩხილები, სხვა რომ არ იყოს, უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს და ცუდი გემოვნების ნიშანიცაა. ფრჩხილები ოდნავ უნდა სცილდებოდეს ნუნებს და ჰქონდეს ლამაზი ოვალური ფორმა. ასეთი ფორმა მათ გაქლიბვით უნდა მივცეთ და არა მაკრატლით. დაქნილი ფრჩხილი უფრო ადვილად ტყდება და გარდა ამისა, შეიძლება წინდებიც დაგიზიანოთ.

თუ ლაქს ხმარობთ, დაიმახსოვრეთ ერთი რამ: თეთრი ან ღია ფერის ლაქი მთლიანად არ უნდა ფარავდეს ფრჩხილს.

გახსოვდეთ, რომ ხელებს ისევე სჭირდება კვება, როგორც სახეს. ამიტომ აუცილებელია ყოველ საღამოს ხელების საპნითა და თბილი წყლით დაბანა და მკვებავი მალამოთი დაზელვა.

თარგმნა დალი კოკაიამ.



# სადღესასწაულო ცხობილეული

## შოკოლადის ტორტი

აიღეთ მრგვალი მოყვანილობის ყალიბი, გამოჭერით მისი ფორმის ქაღალდი, მოათავსეთ ყალიბში, წაუსვით ყოველი მხრიდან გამდნარი კარაქი ან ერბო და ზედ მოაყარეთ დანაყილი გაცრილი ორცხობილა.

რვა კვერცხის გული და ცილა ერთმანეთისაგან გააცალკევეთ და შესაფერ ჭურჭელში მოათავსეთ. კვერცხის ცილა სათქვეფელით კარგად ათქვიფეთ, მერე თანდათანობით ჩაუმატეთ 3-4 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და კვლავ განუწყვეტლივ თქვიფეთ. შემდეგ სათითაოდ დაუმატეთ კვერცხის გული და თან თქვიფეთ. ამის შემდეგ თანდათანობით შეურიეთ ერთი ჩაის ჭიქა პურის ფქვილი, მხოლოდ არა სათქვეფელით, არამედ კოვზით.

მიღებული ცომი ჩაასხით წინასწარ მომზადებულ ყალიბში (მისი სიმაღლის $^3/_4$-მდე, ვინაიდან გამოცხობის პროცესში იგი აფუვდება და შეავსებს ყალიბს). ყალიბში მოთავსებულ ცომს ნაპირები შეუსწორეთ ისე, რომ ცოტა აწეული იყოს, ცენტრში კი ჩაწეული, ვინაიდან გამოცხობის პროცესში ცენტრში არსებული ჩაღრმავება შეივსება და მზა ტორტს სწორი ზედაპირი ექნება. ცომიანი ყალიბი უნდა მოათავსოთ ზომიერი სიმხურვალის ღუმელში. გამოცხობის დროს ყალიბი არ უნდა შეანძრიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ცომი ჩაიწევა-ჩავარდება. გამოცხობის შემოწმება შეიძლება წვრილი ხის ჩხირით, რომელიც უნდა ჩაურჭოთ ცომს ორ-ხამ ადგილას. თუ ცომიდან ამოღებული ჩხირი მშრალია და მიკრული არა აქვს უმი ცომი, მაშინ ის გამომცხვარია.

გამომცხვარი ბისკვიტი არ უნდა გააჩეროთ ყალიბში შეგრილებამდე, თორემ დანოტივდება და ყალიბს მიეკვრება. თუ გამომცხვარი ბისკვიტის ყალიბიდან ამოღება დაბრკოლდა, მაშინ ბისკვიტიანი ყალიბი რამდენიმე წუთით უნდა დადგათ სველ ტილოზე, რის შემდეგ იგი თავისუფლად მოსცილდება ყალიბს. გამომცხვარი ბისკვიტი შესაგრილებლად საცერზე მოათავსეთ.

თუ გსურთ მოზრდილი ტორტის მომზადება და არა გაქვთ დიდი ყალიბი, მაშინ ასე მოიქეცით: გამოაცხვეთ ორი ცალი, რვა-რვა კვერცხიანი, ზემოაღწერილი წესით მომზადებული ბისკვიტი, მერე თვითეულს წააჭერით $^1/_4$ ნაწილი და ცალკე შეინახეთ. დარჩენილი ნაწილები დანით გაჭერით ორ ფენად. მიღებული ფენები გაჟღინთეთ სურნელოვანი შაქრის სიროპით, რომელიც შემდეგნაირად მომზადდება: ნახევარი ჩაის ჭიქა შაქარი გახსენით ნახევარ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში, წამოადუღეთ, მერე შეაგრილეთ და შეურიეთ გემოვნების მიხედვით კონიაკი, არაყი, ესენცია და სხვა, კარგია რომისებური ლიქიორიც.

სურნელოვანი სიროპით გაჟღენთილ ბისკვიტის ფენებს წაუსვით კრემი და ფენები შეაერთეთ ისე, რომ პირვანდელი სახე მიიღოს. ტორტს გარშემო გვერდებზე წაუსვით კრემი და მოაყარეთ დანაყილი ორცხობილა ან დაკეპილი მოხალული ნიგოზი, ნუში ან თხილი. ასეთნაირად მომზადებული ორივე ბისკვიტი შეაერთეთ ჩამოჭრილი ნაპირებით. წინათ ჩამოჭრილი ნაწილებიც შეაერთეთ (იგი ოვალური ფორმის იქნება) და მოათავსეთ ზემოდან, ტორტის ცენტრში.

შოკოლადის კრემი ასე მზადდება:

300 გრ კარაქი ცალკე კარგად აზილეთ. ერთი ჭიქა შაქრის პუდრს შეურიეთ 50 გრ კაკაოს ფხვნილი, მერე თანდათანობით დაასხით ზედ $^1/_2$ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და თან კარგად ურიეთ. მიღებული მასა თანდათანობით შეურიეთ აზელილ კარაქში და კარგად ათქვიფეთ.

სპეციალურ ხელსაწყოში მოათავსეთ კრემი და მორთეთ ტორტის ზედაპირი.

აღნიშნული ტორტის ბისკვიტის მომზადებას ძალიან ცოტა დრო სჭირდება (დაახლოებით 5-7 წუთი), გემოთი კი ის არ ჩამოუვარდება სხვა რთული, კომბინირებული რეცეპტებით მომზადებულ ბისკვიტს.

## ბეზე

ორი კვერცხის ცილა კარგად გათქვიფეთ, მერე თანდათანობით ჩაყარეთ ნახევარი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი (უკეთესია პუდრი) და თან შეუწყვეტლივ თქვიფეთ. მიღებული მასალა ჩაის კოვზით მოათავსეთ პატარ-პატარა გუნდებად ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ თუნუქის ფურცლებზე, შედგით გრილ ღუმელში და გამოაცხვეთ. გამომცხვარი ბეზე ღუმელიდან გამოღებისთანავე დანით აიღეთ თუნუქის ფურცლიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბეზე ნიგვზით

ოთხი კვერცხის ცილა გათქვიფეთ კარგად, მერე თანდათანობით ჩააყარეთ ერთი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი ან პუდრი და თან შეუწყვეტლივ თქვიფეთ. შემდეგ შეურიეთ მოხალული, მსხვილად დაკეპილი ნიგოზი ($1^1/_2$ ჩაის ჭიქა), ჩაის კოვზით მოათავსეთ სასურველი სიდიდის გუნდებად ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ თუნუქის ფურცელზე. შედგით საშუალო სიმხურვალის ღუმელში და გამოაცხვეთ.

მზა ბეზე ღუმელიდან გამოღებისთანავე ააცალეთ დანით თუნუქის ფურცელს.

## ნიგვზიანი ღვეზელი

3 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი და 300 გრ კარაქი დაკეპეთ ისე, რომ ბურღულის მაგვარი პროდუქტი მიიღოთ. ერთ ჩაის ჭიქა არაჟანს შეურიეთ 3 კვერცხის გული, $^1/_3$ ჩაის კოვზი სუფრის მარილი, $^1/_2$ ჩაის კოვზი საჭმელი სოდა და კარგად ათქვიფეთ. დაუმატეთ ფქვილკარაქიან მასალას და კვლავ კეპეთ დანით. შემდეგ მოზილეთ სწრაფად და გააჩერეთ 1-2 საათი.

300 გრ ნიგოზი მომსხოდ დანაყეთ როდინში. 4 კვერცხის ცილა ათქვიფეთ კარგად, დაუმატეთ თანდათანობით ერთი ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილი და თან განაგრძეთ თქვეფა. ამის შემდეგ შეურიეთ დანაყილი ნიგოზი.

ცომი გაყავით სამად. ჯერ ცომის ერთი ნაწილი გააბრტყელეთ, მოათავსეთ თუნუქის ფურცელზე, წაუსვით ზედ ნიგვზიანი მასალა, ზემოდან დააფარეთ მეორე გაბრტყელებული ცომი, იმასაც წაუსვით ნიგვზიანი მასალა და ზედ დააფარეთ მესამე გაბრტყელებული ცომი. ერთი კვერცხის გული ათქვიფეთ 1-2 ჩაის კოვზ რძეში ან წყალში, წაუსვით ცომის ზედა ფენას, მერე ცომი ნახევრად ჩაჭერით დანით სასურველი ოდენობის ნაჭრებად. შედგით ღუმელში და გამოაცხვეთ.

გარეკანი
ლ. შენგელიასი

რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბაღდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა ლ. შენგელიამ.
რედაქციაში შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/XI-59 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75, პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

რედაქციის მისამართი, სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3-68-71.
ტირაჟი 25.000. ფასი 3 მან.
შეკვეთის № 1392. უე 07173

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал „Сабчота Кали".
Издательство ЦК КП Грузии.

კომკავშირელი ლიანა ქუთელია — სოხუმის რაიონის სოფელ ვარჩის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეფრინველე

ფოტო ი. ტერელაძის



6· 99/3
5·1/26
ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობა!

Мир!

მშვიდობა!

МИР!

Друж

Дружба!

მეგობრობა!

Мир!

მშვიდობა!

